გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 60 თეთრი

№95 (1121) 28 – 29 სექტემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

პანკისელი ქისტები დახმარებას ითხოვენ

„გამგეობას მივმართე, მაგრამ არავინ მოსულა, ხელისუფლებას არ ვახსოვართ“

გვ. 8

ექსკლუზიური ინტერვიუ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან

რას ნიშნავს უვიზო მიმოსვლა შენგენის ქვეყნებთან და რა ემუქრება საქართველოს მოქალაქეებს სავიზო რეჟიმის დარღვევისას

გვ. 7

გელა დუმბაძე: „უმოკლეს ვადებში ყველა დიასპორის პრობლემებს ვერ გადავჭრით, მაგრამ ამაზე ვმუშაობთ“

გვ. 3

გიგი გიგიაძე: „სამუშაოდ ან აკადემიური სწავლის დასაწყებად, მოქალაქეებმა მაინც უნდა მიიღონ შესაბამისი კატეგორიის ვიზა“

რა პროექტი განახორციელა ქართველმა ემიგრანტმა მეწარმემ და რა ღონისძიებებს გეგმავს სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორის საერთაშორისო კვირეულზე

„12 ოპოზიციური პარტია მხოლოდ იმაზე მუშაობდა, ირმა ინაშვილს კანდიდატურა მოეხსნა“

გვ. 5

ვის უწოდებს სტელიტებს, „პოლიტიკურ ეგოისტებს“ და ნუროვანი შანსის მქონე პარტიებს დავით თარხან-მოურავი

„ოცნებაში“ სიაში მოსახვედრად იბრძვიან, ნაციონალები უმცირესობის რიგებს ტოვებენ

ვინ გაერთიანდება ახალ პარტიაში ყოფილი მმართველი გუნდის წინააღმდეგ

საჯარო სკოლებისთვის იურისტის მომსახურება უფასოა!

გვ. 9

შვილის მკვლელის ძებნას შეწირული პატიმრის დღიური

რატომ შერჩა მხედრიონელ „მურას“ 4 წლის ბავშვის სანოლში ჩაცხრილვა

გვ. 6

დიტო გელოვანი

გვ. 2

გვარამია-გრიშჩენკო, ანუ სიყვარული ვენახებში

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში

დიტო გელოვანი

შენ სულ ასე იცი, ჰეკ ფინ: მაშინვე ბალღურ ხერხს გამონახავ. ნუთუ არც ერთი წიგნი არ წაგიკითხავს? ბრონი ტრენკი, კაზანოვა, ბენვენუტო ჩელინი, ჰენრი მეოთხე, და განა ცოტაა ასეთი გმირები? სად გაგონილა, ტყვეები ასე დედაკაცურად გაათავისუფლო?.. არა, ცნობილი ავტორიტეტები ასე იქცევიან: საწოლის ფეხს ორად გადახერხავენ და ასევე ტოვებენ. მერე ნახერხს გადაყლაპავენ, რომ არავინ შეამჩნიოს. გადახერხილ ადგილს ტალახით დ ქონით ამოლესავენ ისე, რომ თვით ყველაზე გამჭრიახი ზედამხედველიც კი ვერაფერს შეამჩნევს. ღამით, როცა ყველაფერი მზად იქნება, ხელის ერთი გაკვრით საწოლს გადახერხილ ფეხს მოაგდებინებენ, ჯაჭვს მოხსნიან, მორჩა და გათავდა. მერე თოკის კიბეს კედლის ქონგურებს გამოსდებენ, ქვევით ჩასრიალდებიან და თხრილში ფეხს მოიტეხენ, რადგანაც თოკის კიბე მოკლეა, ცხრამეტი ფუტი აკლია ბოლომდე...

(მარკ ტვენი, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)

გვარამია-გრიშჩენკო, ანუ სიყვარული ვენახებში

რამდენიმე დღის წინ ასეთი ამბავი იყო: „გორის ცენტრში სტადიონთან მდებარე ანძაზე მამაკაცია ასული. როგორც მამაკაცი აცხადებს, იმ შემთხვევაში ჩამოვა, თუ პატრულის თანამშრომელი ლუდსა და არაყს ანძის ქვემოთ დაუდგამს. აღნიშნული შემთხვევის გამო, ქალაქის ცენტრი გადაკეტილია. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ადგილზე მობილიზებულია საპატრულო და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანები. მათივე ინფორმაციით, მამაკაცის აუცილებელი მოთხოვნაა, სასმელი პატრულის თანამშრომელმა მიუტანოს. შეგახსენებთ, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა და მამაკაცი ანალოგიური მოთხოვნით ანძაზე რამდენიმე თვის წინაც ავიდა. როგორც ცნობილია, მაშინ პატრულის თანამშრომელმა მას, ანძიდან ჩამოსვლის სანაცვლოდ, 19-ლარიანი არაყი უყიდა“.

მე, რა თქმა უნდა, არ ვარ ექსპერტი, არც მედიაექსპერტი, არც პოლიტიკური ექსპერტი, არც ეკონომიური ექსპერტი. რომელიმე ექსპერტი რომ ვიყო, რამენაირ კომენტარს გავაკეთებდი, მაგრამ არ ვარ და მხოლოდ კითხვები მაქვს: რატომ მაინცდამაინც გორში და არა, ვთქვათ, სკრაში, აგარაში ან ქარელში? რატომ ცენტრში და არა გარეუბანში? რატომ პატრულის თანამშრომელი და არა, ვთქვათ, რომელიმე საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე? რატომ ანძაზე და არა ხეზე? რატომ 19-ლარიანი არაყი და არა 5-ლარიანი, ან, თუნდაც 41-ლარიანი? რატომ ლუდი და არაყი და არა... რძე და ყველი?

არ უნდოდა რძე და ყველი...

ისტორია მეორდება ხოლმე. ზუსტად 16 წლის წინ, თბილისში, წერეთელზე, პოლიციის წინ რომ ჭადრებია, ერთ-ერთ ჭადარზე, გვიან ღამით, სომხეთის მოქალაქე ავიდა, შუადღისას იქ უკვე უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი — მილიცია-პოლიცია (ერთი და იგივე იყო), კომკავშირი-პროფკავშირი (ახლაც ერთი და იგივეა), მოქალაქეები (რომლებიც ახლაც მოქალაქეები არიან), საქართველოში სომხეთის ელჩი (მგონი, ისევ ის არის), საელჩოს თანამშრომლები (საელჩო ისევ იქ არის — პლეხანოვზე, საბაჩი პერეულოკში)... ამ გორელსა და იმ სომეხს შორის სხვაობა ის იყო, რომ ამ უკანასკნელს უკვე მიეღო ლუდისა და არყის გარკვეული დოზა, თავი ბაქოში ეგონა და ისე ცახცახებდა, როგორც ვერხვის ფოთოლი, თეთრ ლაშქარს რომ ელის და ამ დროს შავი სპეცრაზმი რომ ჩამოივლის.

ჯერ, რა უნდა ვერხვის ფოთოლს ჭადარზე, მაგრამ სომეხს რაღა უნდოდა ჭადარზე და გორელს ანძაზე? იმ კითხვებს ეს კითხვებიც დაემატა. მე კი იმას დავამატებ, რომ სომეხმა მობილური ტელეფონი მოითხოვა. აუგდეს. გაირკვა, რომ მობილურის გამოყენება არ იცოდა. იჯდა და ჩხაოდა. ელჩმა დარწმუნება დაუწყო. ამაოდ. საელჩოს მდივნებმა და ატაშეებმა რაღაცები უმღერეს („ახ, სირუმ, სირუმ“, „გალისა, გალისა“...). ამაოდ. შემდეგ მოვიდა სპეცრაზმი, ორი სპეცრაზმელი ხეზე აძვრა და სულ დედის გინებით ჩამოათრიეს რუსების მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტის მსხვერპლი საბრალო სომეხი.

იქ გახლდით და გვარიანი რეპორტაჟიც დავწერე „რეზონანსისთვის“. ახლა აქ ვარ და მაქვს ჩემი ვერსია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ანძაზე ამძვრალი, ყურადღების ცენტრში ყოფნისა და მუქთი სასმელ-საჭმელის მოყვარული მამაკაცი ლატენტური ენჯეოშნიკია.

ლატენტური... ეს დიდებული სიტყვა, კომპილაციაში ისეთ სიტყვებთან ერთად, როგორებიცაა ექსკლუზიური, ინკლუზიური და სენსიტიური, განუმეორებელ ბუკეტს ქმნის და ხასიათდება გამჭვირვალე შავი ფერით. გამოიყენეთ სემინარებზე, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე და ვორქშოპებზე. გადმოგეცემათ სერტიფიკატი, რომელსაც თვალებზე ააფარებთ ყველას, ვინც სამართლიანად შენიშნავს, რომ თქვენ ხართ უვიცი, უქნარა, უტიფარი და უსინდისო.

მაგალითად, „რუსთავი 2“, რომელიც ნამდვილად არ არის უქნარა და რომელსაც უფრო ქნარიანი ეთქმის, რადგან „მიშა მაგარიას“ ქნარზე ამღერებს, სულაც არ არის უვიცი, რადგან იცის, მაგრამ არის უტიფარი და უსინდისო. აი, ვუყურებდი გელა გრიშენკოს და ვფიქრობდი, როგორ ჰგავს აკაკი გოგიჩაიშვილს-მეთქი. არც შუბლი ჰგავს, არც თვალები, არც ტუჩ-ნიკაპი, მაგრამ მაინც ჰგავს.

ერთხელ, ერთ სუფრაზე, ლადო გოგობერიძემ ჩემი სანთებელა სერგო მაისურაძეს აჩუქა. რომ ვკითხე, რატომ აჩუქე ჩემი სანთებელა-მეთქი, ლადომ მითხრა, გიზოსი მეგონა და იმიტომო.

ლადო გლიჯავს, გელა ჩეხავს. გელა აჩეხილს ჩეხავს, სხვის აჩეხილს, რომელიც, სანამ აიჩეხებოდა, მანამდეც სხვისი იყო. გელა მაგარია. ღვინიაშვილიც მაგარია. ნიკა გვარამიაც მაგარია. გელა მიშას მაგარია, ღვინიაშვილიც მიშას მაგარია, გვარამიაც მიშას მაგარია, მაგრამ ყველაზე მაგარი არის მიშა, და იმ კითხვებს, მერე კიდევ რომ დაემატა სხვა კითხვები, ახლა კიდევ ერთი კითხვა ემატება: ვისი მაგარია მიშა? პუტინის თუ რასპუტინის?

მაგრებოოო!!! თქვენ კი გაუმაგრდით არმაგედონის ზანგს!!!

ერთხელ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ყველა პროფესიონალს ვცემ პატივს, პროფესიონალი მკვლელების, პროფესიონალი ქურდების, პროფესიონალი გამომძალველების, შანტაჟისტების, აფერისტების და „რუსთავი 2“-ის გარდა. ისინი კლავენ მათ, ვინც ჯერ არ დაბადებულა, ძარცვავენ მათ, ვისაც აღარაფერი გააჩნია, სძალავენ მათ, ვისაც ძალა აღარ შერჩა, ატყუებენ მათ, ვისაც ყველაფრის სჯერა და სიყვარულით არიან დაკავებულები იქ, სადაც თვითონვე დათესეს სიძულვილი.

იყო გადაცემა, სადაც იყო ბევრი ტყუილი და ბევრი სიძულვილი, რადგან იქ იყო ბევრი მუხრან ბურჭულაძე, ბევრი ნინო ლაპიაშვილი, ბევრი ლადო სადღობელაშვილი, ბევრი კობა ხაბაზი, ბევრი მაია ორჯონიკიძე... მოკლედ, სულ ვიგინდარები იყვნენ. გადაცემას ერქვა „რე-აქცია“. ვიგინდარების რეაქცია იყო ერთმანეთის ვიგინდარობებზე, კამათი, თუ ვინ უფრო დიდი ვიგინდარაა და, რაც მთავარია, მაყურებლის დასკვნა — „ვიგინდარების ქვეყანაში ვცხოვრობთ“ და მისივე გადაწყვეტილება — „ამ ქვეყანაში ცხოვრება არ ღირს“.

ჰოდა, ახლა მე თქვენ გეკითხებით: რა სჯობს — ერთი გადაცემის გაქრობა ეთერიდან თუ ერთი მილიონი ადამიანის გაქრობა ამ ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში ან იმქვეყნად?

დარეკა იმან, ამან, იმის სახელით, ამის სახელით... დახურეთ ამიტომ, ამიტომ და ამიტომო. თუ არ დახურავთ და მიიღებთ ამას, ამას და ამასო. მუქარას ვერ გაუძლესო, ვერ გაუძლეს ზეწოლასო — უამრავი ვერსია წარმოთქვეს უ-რე-აქციოდ დარჩენილმა უ-ერექციოებმა, ვერ იჯერებენ, როგორ შეიძლება საკუთარი ნებით თქვა უარი რეკლამაზე, რომელიც არის ფული, და ფულზე, რომელიც არის ბინა ვაკეში, აგარაკი წყნეთში, ავტომობილი ფარეხში, ისევ და ისევ ფული, ბევრი ფული საფულეში, ბრილიანტი ყურში და გული საგულეში.

თუმცა, ძალიანაც სჯერათ, რომ სანადირაძემ საკუთარი ნებით დათმო ინტერნეტპროვაიდერი, ხალვაშმა — სამაუწყებლო კომპანია, ვიღაცამ წილი, ვიღაცამ ბინა, ვიღაცამ ავტომობილი, ხოლო მე — „პრესა.ჯი“.

იმ თოქ-შოუსთან დაკავშირებით მე მაქვს ჩემი ვერსია: ერთ მშვენიერ დილას გაიღვიძა ქალბატონმა ინა გუდავაძემ და გაიფიქრა: „ღმერთო, ამას რას ვჩადივარ! ბადრის ხომ „იმედი“ შვილივით უყვარდა! ვის ვაჯიჯგნინებ ბადრის დანატოვარს? ვსო! მორჩა!“ და ინა გუდავაძემ თბილისში დარეკა.

ეს ვერსია იმ შემთხვევაში დადასტურდება, თუ ერთ, კიდევ უფრო მშვენიერ დილას ქ-ნ გუდავაძეს ასეთი აზრი გაუელვებს: „ბადრის არაყი და ხაში უყვარდა. განსხვავებულ აქცენტს მაშინ სცემდა პატივს, თუ ეს სოსისი და ლუდი იყო. ჯაჯანიძეს ვაჯიჯგნინო?! კაცად უნდა ვარგოდე, თორემ წვერ-ულვაში კონჩიტასაც აქვს“. და ქ-ნი ინა თბილისში დარეკავს: „წამგვარეთ ჯაჯანიძე“.

გრიგოლიაზე ქორიძე და გვარამია აღშფოთდნენ, ჯაჯანიძეზე კესარია და სურამელაშვილი შეშფოთდებიან. ზალიკო ბერგერის და ჯიჯი რეჯინის ხმა დიდი ხანია არ ისმის. ეჰ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს, თავის ბუტიკთან მიბმული ყოჩით და...

და, რამე!!!

სხვა რამე: „პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორების“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე დავით მიროტაძე პარტიაში არსებულ დაპირისპირებასა და გაერთიანების თავმჯდომარეობასთან დაკავშირებულ დავაზე განცხადებას ავრცელებს: „პირველ რიგში, მინდა სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ პ/გ რეფორმატორების პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე ნამდვილად ვარ მე, დავით მიროტაძე!.. ამ განმარტებას ვაკეთებ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების ყოფილი თავმჯდომარე, ღლონტი, დაკავებულია სიცრუის ტირაჟირებით პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და ცდილობს საზოგადოება, ჩვენი ამომრჩეველი შეცდომაში შეიყვანოს“.

უჰ... რომ იტყვიან, დამბურძგლა! პირველად ვნახე, ვინმე ამომრჩეველზე ზრუნავდეს. პირდაპირ, პარტია კი არა, მზრუნველთა საბჭოა, ვიღაცაა. ჩემი ხმა „რეფორმატორებს“! ოღონდ, მანამდე, განმარტონ, ეს პ/გ რას ნიშნავს. „გ“ გაერთიანებაა, „პ“ ახსნან — პროქართულს ნიშნავს, პროდასავლურს, პრორუსულს თუ რომელიმე სხვა „პრო“-ს, ანაც იქნებ რამე სხვა სიტყვას ნიშნავს, რომელიც „პ“-ზე იწყება. თუ ეს „პინკ ფლოიდია“, მაშინ ვაშა და ვაშა აღნიშნულ „გ“-ს, ხოლო თუ პუტინია, მაშინ პუტინის ფანები რაღა დავით მიროტაძეს მისცემენ ხმას, აგერ სააკაშვილი და იმის ჯანი! თუ — იმის ჯანში?!

ახლა, მეც მოვიტყუე, პირველად ვნახე ამომრჩევლზე ვინმე ზრუნავდეს-მეთქი. იყო ასეთი პ/გ — „საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, ანუ ოთხი შტატივი და ერთი ჩითის კაბა. ერთ დღეს ადგნენ ეს „პ“-ები და გ-ენ, ანუ გაერთიანდნენ. მეორე დღეს უკვე ჰქონდათ შესაბამისად აღჭურვილი ოფისები, ოფისებში ესხდათ შესაბამისი გარეგნობის (თან ქრისტიანული და თან დემოკრატიული) მდივნები, რეფერენტები და მდივან-რეფერენტები, მესამე დღეს პ/გ-ს პრეზენტაცია გამართეს ო/ბ სახელმწიფო თეატრში, მეოთხე დღეს თქვეს, ფული მეგობრებმა შემოგვწირესო, მეხუთე დღეს კი მოიფიქრეს სლოგანი: „დენი ათ თეთრად, გაზი ხუთ თეთრად, წყალი უფასოდ“.

ოთხი რამ არის ქვეყნად დაუჯერებელი: 1. დენი ათ თეთრად; 2. გაზი ხუთ თეთრად; 3; წყალი უფასოდ; 4. გიორგი თარგამაძეს ვინმე რომ ემეგობრება.

გიორგი თარგამაძეს ვინმე რომ ემეგობრება, ეგ არის დაუჯერებელი, თორემ მაგდა ანიკაშვილს ემეგობრება ჩიორა თაქთაქიშვილი, ნიკა ლალიაშვილს ემეგობრება ვალერი ხაბურძანია, გიორგი ახვლედიანს ემეგობრება ნინო ბურჯანაძე და ინგა გრიგოლიას ემეგობრება ნიკა გვარამია.

ჰოდა, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, განა დაეჯერება რამე იმას, ვინც გაზს, დენს და წყალს ლამის მუქთად გთავაზობს? ანიკაშვილი „მაესტროზეა“, ლალიაშვილიც რომელიღაც ეთერში ზის და ეჭვგარეშეა, რომელიმე ეთერში ინგაც მალე მოიწვევს სხდომებს. თუ თოქ-შოუა, თოქ შოუ იყოს. მოიყვანეთ ხაბაზი და სადღობელაშვილი, მიშა სად არის, მაჭავარიანი? ქეთა გაბიანი? აკო ჩამოვიდა კიევიდან? გიგი გამოვიდა ციხიდან?

გიგი... ეს დიდებული სახელი, კომპილაციაში ისეთ სიტყვებთან ერთად, როგორებიცაა ვანო, ბაჩო, აკო, მიშა, წუკლარა და სხვ. განუმეორებელ (იმედია!) ბუკეტს ქმნის და ხასიათდება ფერთა საინტერესო, ჰორიზონტალური შეხამებით: ზევით — მოშავო თეთრი, შუაში — მოცისფრო ლურჯი და ქვევით — კაგებეშნიკური წითელი. ამ წარმონაქმნის დევიზია „მატროსოვზე ან მატროსოვისაზე“.

თუმცა, მატროსოვზე ყოფნა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მატროსოვისაზე არ არიან. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება. ყოფილი კაგებეშნიკი არ არსებობს, არ არსებობს ყოფილი ენჯეოშნიკი, მარსზე არ არსებობს სიცოცხლე, მაგრამ დადგება დღე, როცა მარსზე აღმოაჩენენ ბაქტერიას და იტყვიან, რომ თურმე მარსზე სიცოცხლე ყოფილა, მაგრამ ერთი ბაქტერია სიცოცხლედ ვერ ჩაითვლება, პაპუაშვილი — სამართლად, დეფი-ბუღაძე — მწერლად, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია — ეთიკურ ჟურნალისტიკად, „რუსთავი 2“ — მედიასაშუალებად, გაბუნია-გვარამია-მელაძე — კაცად და კესარია-ბესარია — ქალად.

ოდეს ყოფილა, ნაციონალებს და წესიერ ადამიანებს ერთად ეჭამოთ პური?

ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო... და ამ ოდესღაც დიდი საქართველოს ყველაზე დიდი ქალაქის მმართველი სტრუქტურაში მუშაობს ერთი პატარა გოგო — ელისო მარგიშვილი. დადის ხელფოტოაპარატიანი, პატარა ელისო ქუჩა-ქუჩა და ნაგავს ეძებს. დაინახავს ნაგავს, ჩასაფრდება. გამოივლის ვინმე და წკაპ, სურათი გადაღებულია — გამვლელი მოქალაქე და ნაგავი. „შენ არ ხარ გამვლელი მოქალაქე — ეუბნება პატარა ელისო, გვარად მარგიშვილი — შენ ხარ სამართალდამრღვევი და უნდა დაგაჯარიმო“. უმტკიცებს საწყალი მოქალაქე, რომ ეს ნაგავი მას არ დაუყრია, რომ იგი არის კანონმორჩილი, იხდის გადასახადებს, საიდანაც ელისოც იღებს ხელფასს. არ დაუყრია მას ეს ნაგავი. ეს ელისომაც იცის, მაგრამ ელისო ჯერ პატარაა, ჯერ ბაქტერიაა, ბაქტერიას ჭკუა არ მოეკითხება, ბაქტერიას მოეკითხება გეგმა, რომელიც მოქალაქეთა, თუნდაც პატიოსან მოქალაქეთა დაჯარიმებით უნდა შეასრულოს.

ელისო მარგიშვილი ბოლო მოდელის აიფონზე ოცნებობს. კიდევ სამი უდანაშაულო მოქალაქეც და, ელისო ტექნიკის მაღაზიას მიაშურებს.

ნაგავი და ნაგავთან გამვლელი, საწყალი, ჩაფიქრებული, კანონმორჩილი და დაუცველი მოქალაქე — ელისოს გზა მაღალი საზოგადოებისკენ.

ჭუკლი, ჭუკლი, პატარა გოგო.

ეს არ იყო ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში. ეს იყო ის, რაც ხდება.

ა.რ. (აბა რა) ...ჩვენ პატიმარს ვეხმარებით, მას კი სულაც არ ეკითხებიან, სად უშოვნიან რამეს, სულ ერთია, სასაყვედურო მაინც არავის არაფერი ექნებაო. პატიმარს ბოროტებად არ ჩაეთვლება, თუ ისეთი რამ მოიპარა, რაც გაპარვაში უშველის, ეს მისი უფლებაა. ჩვენ პატიმრის წარმომადგენლები ვართ, სრული უფლება გვაქვს, მოვიპაროთ, რასაც კი ვისურვებთ და რაც კი ოდნავ მაინც შეგვიწყობს ხელს პატიმრის აქედან გაპარებაშიო.

(მარკ ტვენი, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)

ექსკლუზიური ინტერვიუ დიასპორის მინისტრ გელა დუმბაძესთან



რას ნიშნავს დიასპორული ინვესტიციები, რა კონკრეტული პროექტი განახორციელა ქართველმა ემიგრანტმა მეწარმემ და რა ღონისძიებებს გეგმავს სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორის საერთაშორისო კვირეულზე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

11-დან 17 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოში მეორედ გაიმართება რეგიონული დიასპორული კვირეული. წლევანდელი ღონისძიების მთავარი თემა ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებაა და შესაბამისად, აქცენტი სწორედ დიასპორულ ინვესტიციებზე გაკეთდება. მეორე რეგიონული დიასპორული კვირეული ერთადერთი ღონისძიება არ იქნება, რომელსაც დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი უმასპინძლებს. 2015 წლის მაისში, „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლის იუბილეს ფარგლებში, საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით, „სრულიად ქართველთა კონგრესი“ გაიმართება. რას ნიშნავს დიასპორული ინვესტიციები? რა პროექტების განხორციელება სურთ, რა პრობლემები ექმნებათ ქართველ ემიგრანტებს და როგორ აპირებს საქართველოს ხელისუფლება მათ გადაჭრას? „ვერსიის“ კითხვებს ექსკლუზიურ ინტერვიუში, სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძე პასუხობს.

— ბატონო გელა, კონკრეტულად რა სახის ღონისძიებებს გამართავთ რეგიონული დიასპორული კვირეულის ფარგლებში?

— ამ ღონისძიებას IDA-თან თანამშრომლობის ფარგლებში ვატარებთ. დიასპორული კვირეულის ფარგლებში, პირველი, სერიოზული ღონისძიება — დიასპორულ ინვესტიციებთან დაკავშირებული ეკონომიკური ჭრილის ფორუმი, 13 ოქტომბერს, „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართება. იმავე საღამოს, სტუმრების ოფიციალური მიღების ღონისძიება მოეწყობა. 12 ოქტომბერს, დაგეგმილია, საინფორმაციო კვირეული ღია ცის ქვეშ, ეთნოგრაფიულ მუზეუმში. სხვადახვა ქვეყნის დელეგაციებს ველით. კონსერვატორიაში დისპორული ვარსკვლავების კონცერტიც გაიმართება და ემიგრანტი რეჟისორების ფილმების რეტროსპექტული ჩვენებაც მოეწყობა. დასკვნით დღეს, 16 ოქტომბერს, მოეწყობა ტური სიღნაღში, სტუმრები ქართულ ღვინოს დაგეგმავენ. სიღნაღში სოფელ ალიბეგლოს ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის დასიც ჩამოვა. კვირეულის მთავარი არსია, გავამახვილოთ ყურადღება დიასპორის წარმომადგენლების პრობლემებზე და ხელი შევუწყოთ მათი პოტენციალის სწორად გამოყენებას ქვეყნის აღმშენებლობაში.

— რას ნიშნავს დიასპორული ინვესტიციები და იცნობს თუ არა თქვენს ხედვებს ქართული დიასპორა?

— კარგად იცნობს — საკმაოდ ბევრი ვიზიტი განვახორციელე სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც 3-4-საათიან ფორმატში, დიასპორის წარმომადგენლებს დეტალურად ვაცნობდი ჩვენს პროგრამებს. ჩვენი ფილოსოფია გამოიხატება სლოგანში, „ჩვენ გვაძლიერებს ყოველი, რაც გვაერთიანებს“. რაც შეეხება დიასპორულ ინვესტიციებს, წარმოიდგინეთ, რომ უცხოეთში მცხოვრები ადამიანი ჩამოდის საქართველოში, ჯერ არ აპირებს მიმღები ქვეყნის დატოვებას, მაგრამ სამშობლოში ჩამოაქვს ახალი ტექნოლოგიები, ფინანსური საშუალებები, ჩამოყავს პარტნიორები და ბიზნესის დაწყებას აპირებს. დიასპორული ინვესტიციები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ასე — ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 12%-იანი მონაწილეობა, რასაც მათ მიერ, საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილები შეადგენს.

— ინტერესდებიან თუ არა დიასპორის წარმომადგენლები სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით?

— რა თქმა უნდა და სხვადასხვა პროგრამაშიც მონაწილეობენ. ჩვენს მიერ ჩატარებული ფორუმები და ეს კვირეულიც ხელს უწყობს ამ ტიპის თანამშრომლობისთვის სპეციალური სივრცის შექმნას. წელსაც, კვირეულს საქართველოს პრემიერი გახსნის. სტუმრებთან ისეთ აქტუალურ თემებს განვიხილავთ, როგორიცაა განათლება, კულტურა, ეკონომიკა, მედიცინა... კვირეულზე ჩამოვლენ ბიზნესმენები, ემიგრანტი მეწარმეები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს მოუყვებიან, როგორ განახორციელეს ესა თუ ის პროექტი, რა პრობლემები შეექმნათ და როგორ გადაჭრეს ისინი. დიასპორის წარმომადგენლები მთავრობის წევრებსაც შეხვდებიან. ჩვენი ძირითადი ფუნქცია სამუშაო სივრცეების შექნაა. პროცესში ჩართულები არიან ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები — IOM, ICMPD, „იუსაიდისა“ და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები. ზოგჯერ ისმის კითხვა, კონკრეტულად რა მოაქვს ჩვენს მიერ გამართულ ღონისძიებებს? პასუხი მარტივია — პირველ რიგში, სამუშაო სივრცე და ღია კარი სხვადასხვა, მაღალი დონის ინსტიტუციაში.

— შეგიძლიათ დამისახელოთ თუნდაც ერთი, თვალშისაცემი პროექტი, რომელიც დიასპორული ინვესტიციების ფარგლებში, საქართველოში განხორციელდა?

— რა თქმა უნდა. ასეთი პროექტი გიორგი სვანიძემ განახორციელა, რომელმაც ბიზნესი ჰოლანდიაში ააწყო და ახლა საქართველოში ბრუნდება. მან თურქ კოლეგებთან და სხვადასხვა ბიზნესმენთან ერთად, საქართველოში, ზეთისხილის პლანტაციები გააშენა და ზეთისხილის გადამამუშავებელ ქარხანასაც აშენებს, რომელიც 1 ნოემბერს გაიხსნება. მან ზეთისხილის 250 000 ნერგი დარგო და შედეგად, საქართველო ზეთისხილის მსოფლიო რუკაზეც გამოჩნდა. ამისთვისაც ბატონი გიორგი სპეციალური მედლითაც დავაჯილდოვე.

— ემიგრანტების უმრავლესობას ამ ტიპის უნარ-ჩვევები არ აქვს. ისინი, შესაძლოა, მცირე ან საშუალო ბიზნესის აწყობასაც გეგმავენ საქართველოში, მაგრამ არ იციან, როგორ შეადგინონ ბიზნესგეგმა და ვის მიმართონ საქართველოში. მათ ეხმარებით?

— მათთვის ჩვენი სამინისტროს კარი ღიაა. ჩვენთან უამრავი ადამიანი მოდის, რომლებიც სხვადასხვა პროფილით ინტერესდებიან. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორის საკითხებში, კეთილი პროვაიდერის როლს ასრულებს. ვეთანხმები საქართველოს პატრიარქს, რომელმაც ბრძანა, რომ მარტივი პროგრამები უნდა შეიქმნას, რომელშიც თუნდაც 1 000 აშშ დოლარის ჩადება უმტკივნეულო იქნება, რათა ადამიანებს სამშობლოში ღირსეულად დაბრუნება გავუადვილოთ. ამ საკითხზე სხვადასხვა სამინისტროსთან ვმუშაობთ და ვთხოვთ, წარმოადგინონ ამ ტიპის პროექტები. ამ პროექტების ამსახველ ბუკლეტებსა და ვიდეომასალებს ვაჩვენებთ ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებს.

— ეს კითხვა იმიტომ დაგისვით, რომ მცირე ბიზნესის დასაფინანსებლად, ერთ-ერთმა ემიგრანტმა ბანკში ბიზნესგეგმა წარადგინა, მაგრამ არ დაუფინანსეს, არასწორადაა შედგენილიო. არ შეიძლება, თქვენი უწყების წარმომადგენლებმა ასეთ ადამიანებს კონსულტაცია გაუწიონ?

— როდესაც ადამიანს აქვს ფინანსური შესაძლებლობა, მაგრამ საკუთარი პროექტის განხორციელება არ შეუძლია, აუცილებლად უნდა მოგვმართოს და დავეხმარებით. ეს ამბავი ასე არ უნდა დასრულდეს. დაგვიკავშირდეს, გვითხრას, რა მოცულობის თანხა აქვს და რას აპირებს. გპირდებით, მაქსიმალურად მოკლე დროში მივცემთ სწორ ორიენტირებს და გეგმის განხორციელებაშიც დავეხმარებით.

— ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში ფულადი გზავნილები მილიარდ 300 მილიონია...

— დიახ, ეს არის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკა, რაც ცვალებადია. სამომავლოდ, შემცირდება, რაც მსოფლიო ტენდენციაა.

— ფულად გადმორიცხვებთან დაკავშირებით, ზაფხულში პრობლემა შეიქმნა. მაგალითად, საბერძნეთიდან 910 ევროზე მეტი თანხის გადმორიცხვის შემთხვევაში, გამომგზავნმა დეკლარაცია უნდა წარადგინოს. ეს შეზღუდვა არალეგალური თანხის მოძრაობის პრევენციაა, მაგრამ ემიგრანტებს პრობლემებს უქმნის. ამ კუთხით თუ მუშაობთ ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროსთან?

— მთავრობის სხდომის ფარგლებში, ამ კონკრეტულ პრობლემაზე კოლეგებთანაც ვისაუბრე. ფულადი გადმორიცხვების პრობლემის მოგვარება შესაბამისი პროფილის სამინისტროებისა და ეროვნული ბანკის პრეროგატივაა. ამ საკითხზე დიალოგი დაწყებულია, მაგრამ ისე ნუ მიიღებთ, რომ ემიგრანტები ფულს ვეღარ გზავნიან. ეს გრძელვადიანი პრობლემა არ ყოფილა.

— ტვირთებისა და ამანათების გამოგზავნაშიც შეიქმნა პრობლემა, რადგან ემიგრანტებს მათი მოცულობა შეუმცირეს...

— ამ მხრივ, ყველა ქვეყანას საკუთარი წესი აქვს. საქართველო დიდი და ძლიერი ქვეყანა არ არის, ამიტომ მას არ შეუძლია, უმოკლეს ვადებში მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან დაარეგულიროს ყველა ის პრობლემა, რაც ამა თუ იმ ქვეყანაში მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებს ექმნებათ. თუმცა ამაზე ვმუშაობთ. საბოლოოდ კი ყველაფერი ძლიერ სახელმწიფოზეა დამოკიდებული, რასაც თითოეული ჩვენგანი ვაშენებთ. მათ შორის, დიასპორებიც, გადმორიცხული თანხებითა თუ გამოგზავნილი ამანათებით.

— რა კეთდება იმისთვის, რომ ქართული პროდუქციის ცნობადობა გაიზარდოს იმ ქვეყნებში, სადაც ბევრი ემიგრანტი ცხოვრობს? შესაძლებელია, დიდი რაოდენობით ქართული სახლები გაიხსნას, სადაც ადგილობრივი პროდუქცია გაიყიდება?

— ქართული სახლი მაღაზია ვერ იქნება. რეალურად, ქართული სახლი იქნება სივრცე, რომელშიც ქართული კუთხე, საკონფერენციო დარბაზები, შეხვედრების ადგილები განთავსდება, სადაც შეიძლება მივიდნენ დიპლომატები, ბიზნესმენები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ემიგრანტები, შეხვდნენ ერთმანეთს და სამომავლოდ, საქმიანი ურთიერთობები დაამყარონ. ასეთი სახლები სხვადასხვა სამინისტროების ჩართულობით უნდა მოეწყოს. ამ შემთხვევაში, ჩვენი უწყება ამ იდეის ერთ-ერთი გენერატორია. ამ ტიპის სახლებში ქართული კულტურის, ტრადიციების, საწარმოო და ტურისტული პოტენციალის პროპაგანდა უნდა მოხდეს. ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული და საწყის ეტაპზე, იმისთვის, რომ ქართული სახლი ამუშავდეს, მინიმუმ, 100 000 აშშ დოლარია საჭირო. ამ პროექტის პრეზენტაცია უკვე წარვუდგინე პრემიერს და შევთავაზე, რომ პირველ რიგში, ქართული სახლები თურქეთში, აზერბაიჯანში, ირანში უნდა გაიხსნას. მას საკმაოდ დადებითი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ამის შემდეგ იყო ლარის კრიზისი, 13 ივნისის ტრაგედია... სამწუხაროდ, ამ პროექტის დაფინანსება შესაძლოა დროში გაიწელოს.

— საქართველოს უდიდესი დიასპორა ჰყავს ისრაელში. მათ შორის, მსხვილი ბიზნესმენები არიან. ბოლო დროს, ებრაული ინვესტიციების შესახებ არაფერი მსმენია, ამ მიმართულებით არ მუშაობთ?

— ისრაელში წასული ჩვენი თანამემამულეები საკუთარ თავს ემიგრანტებად არ მიიჩნევენ. მათ ორი სამშობლო აქვთ. მათთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. არც ისე დიდი ხნის წინ, სამინისტროში ებრაელი ბიზნესმენები გვესტუმრნენ, რომლებსაც ქსანში, მაღალი კატეგორიის შუშის ქარხნის გახსნა უნდათ. ცხადია, ასეთ ინიციატივას ხელს შევუწყობთ, უკვე შევახვედრეთ შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებს და ვეცდებით, ნაყოფიერი სამუშაო პირობები შევუქმნათ. ზოგადად, ინვესტიციების მოზიდვაზე მუშაობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციაა, მაგრამ თუ დიასპორის წარმომადგენლებს შორის არსებული ბიზნესმენები ან მსხვილი ინვესტორები ასეთ სურვილს გამოთქვამენ, დიასპორის სამინისტრო მაქსიმალურად დაეხმარება და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ამ დიდ „ორომტრიალში“ თავის სიტყვასაც იტყვის.

ვერსიანიუსი

გიორგი მღებრიშვილმა აფხაზეთის ომში შსს-ს აკადემიის დაღუპულ კურსანტებს პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრმა, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, 1992 წელს აფხაზეთის ომში დაღუპული, შსს-ს აკადემიის კურსანტების მემორიალი გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო.

მინისტრთან ერთად, ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი, შსს-ს აკადემიის ხელმძღვანელები, მსმენელები და დაღუპული კურსანტების ოჯახის წევრები დაესწრნენ. შს მინისტრმა ქვეყნის წინაშე დაღუპული კურსანტების დამსახურებაზე ისაუბრა. გიორგი მღებრიშვილი დაღუპული

კურსანტების ოჯახის წევრებსაც გაესაუბრა და საჩუქრები გადასცა.

შს მინისტრმა, ღონისძიების ფარგლებში, შსს-ს აკადემიაში სტუმრებთან ერთად დაღუპული კურსანტების შესახებ წარმოდგენილი ფოტომასალა დაათვალიერა. 1992 წელს, აფხაზეთის ომის დროს, ქალაქ გაგრის მახლობლად, სოფელ კოლხიდასთან, უშიშროების უმაღლესი სკოლის 14 კურსანტი დაიღუპა.

შსს-ს აკადემიაში აფხაზეთში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან განვითარებული მოვლენების შესახებ საარქივო მასალებიც გამოიფინა. წარმოდგენილი იყო ჟურნალ „საარქივო მოამბის“ აფხაზეთის თემატიკაზე მომზადებული სპეციალური ნომერი და 1992 წლის აფხაზეთის ომის დოკუმენტური კადრები.

„პირველი“

„ოცნებაში“ სიაში მოსახვედრად იბრძვიან, ნაციონალები უმცირესობის რიგებს ტოვებენ

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ცოტა ხნის წინ ნაციონალური მოძრაობის რიგებს კიდევ ერთი დეპუტატი გამოეყო. ახალქალაქის მაჟორიტარი სამველ პეტროსიანი დეპუტატობამდე, 2005-2012 წლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და ნაციონალების თანამოაზრეთა რიგებში 2012 წელზე გაცილებით ადრე ირიცხებოდა. პეტროსიანს მიზეზები თავად არ განუმარტავს, სამაგიეროდ, ნაციონალების ერთ-ერთმა ლიდერმა, მიხეილ მაჭავარიანმა აგვიხსნა, მაჟორიტარია მაინც და სამოქმედოდ მეტი სივრცე სჭირდებაო. სხვათა შორის, პეტროსიანი უმცირესობაში დარჩა და „ოცნებასთან“ არ გადასულა, თუმცა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უფრაქციო დეპუტატები მაინც „ოცნებისკენ“ იხრებიან.

ვინ გაერთიანდება ახალ პარტიაში ყოფილი მმართველი გუნდის წინააღმდეგ

ეს პერიოდი ორ საინტერესო განცხადებას დაემთხვა. ერთ-ერთი მათგანი „ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, **თამაზ მეჭიაურს** ეკუთვნის, რომელიც მოწინავე დეპუტატია პოპულარული განცხადებების რაოდენობით: **„განაწყენებული ხალხი რადიკალურ ფრთას დაუდგება გვერდზე, ყოფილი ხელისუფლება კი ძალიან მკაცრ პასუხს მიიღებს, რომელიც, სამწუხაროდ, „ქართული ოცნებისგან“ ვერ მიიღო. „ქართულ ოცნებას“ ნაციონალების მიმართ უფრო რადიკალური დამოკიდებულება გაუხდება, მაგრამ ჩვენს შიგნით ახალი ძალა ალბათ არ შეიქმნება. გამოჩნდება სულ სხვა ძალა, რომელიც რადიკალური იქნება და ნაციონალებს მწარედ დაარტყამს. შესაძლოა ეს ისეთი მწარე დარტყმა იყოს, რომ მთელი ცხოვრება ვერ დაივიწყონ“.** ასე დაემუქრა ერთი, სახელისუფლო პარტიის წევრი მეორე პარტიას მესამე პარტიით. ცოტა ხანში კი ნაციონალებიდან მანამდე წამოსული 4 კაციდან ერთ-ერთი, გოგა ხაჩიძე, პოპულარული განცხადებების კიდევ ერთი ჩემპიონი, გამოვიდა და თქვა, ჩვენი პარტია, ახალი პოლიტიკური ცენტრი, მალე ძალებს მოიკრებსო. **„ახალი პარტია და მისი ყრილობა ძალიან მალე, დიდი ალბათობით, ოქტომბერში გაიმართება. ახალ ფრაქციას კი მალე იხილავთ, შესაძლოა, ერთ და ორ თვეში არა, მაგრამ უახლოეს პერიოდში. აქტიურად ვგეგმავთ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობასაც“.**

ეს ორი განცხადება და პეტროსიანის წასვლა ისე უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს, ლოგიკური ეჭვი გაგვიჩნდა — პეტროსიანი „უფრო მეტი სამოქმედო სივრცის ძიებაში“, შემთხვევით, „ახალ პოლიტიკურ ცენტრს“ ხომ არ მიადგა? რატომ არაა შესაძლებელი, ყოფილი ნაციონალი ასევე ყოფილ ნაციონალებთან, პალიკო კუბლაშვილთან, ზურაბ ჯაფარიძესთან, გიორგი მელაძესა და გოგა ხაჩიძესთან მისულიყო? მით უმეტეს, „ვერსიასთან“ არაერთ ინტერვიუში ამ ახალი ცენტრის ლიდერ ჯაფარიძესაც და სხვებსაც არაერთხელ აქვთ დადასტურებული, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი „სამიზნე“ გადასაბირებლად, სწორედ ყოფილი პარტიის დეპუტატებია. მართალია, ექსნაციონალებს, ჯერჯერობით, 6 კაცი არ ჰყავთ, რომ ფრაქცია შექმნან, მაგრამ უპარტიო და უფრაქციო დეპუტატები „ოცნების“ მხარესაც ბლომად არიან და ყოფილი ხელისუფლებისაც. შესაბამისად, ვრცელდება ხმები, რომ ისინი მოლაპარაკებებს ყველასთან აწარმოებენ. ის კი არა, „ძველი ნაციონალებისგან“ განსხვავებით, „ახალი ნაციონალები“ გუნდის მთავარ პრინციპს ღალატობენ და „ოცნებასთან“ ერთად სამუშაოდ თბილისშიც დადიან. არათუ დადიან, თავიანთ ინიციატივებსაც განიხილავენ, მსჯელობენ, ხარობენ და შესანიშნავად ურთიერთობენ. ალბათ, კომიტეტების სხდომების თბილისში ჩატარება ახლა აღარ მიაჩნიათ ანტიკონსტიტუციურად. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს — ფაქტია, ეს 4 ლიდერი, ჯაფარიძით სათავეში, „ოცნებასთან“ მისასვლელ გზებს იკვალავს, ანდაც „ოცნებიდან“ გამოსასვლელ გზებს უკვალავს რომელიმე გადაბირებულს. სხვადასხვა მედიასაშუალებებში ინფორმაცია გავრცელდა, მათ მომავალ ფრაქციაში გასაწევრიანებლად, გიორგი მელაძე ანზორ ბოლქვაძეს ელაპარაკება, მაგრამ ბოლქვაძე მმართველ გუნდს ცოცხალი თავით არ დატოვებს. ამის შესახებ მან სრულიად დამოუკიდებლად განაცხადა და ისიც დასძინა, შემდეგ არჩევნებზე, პოლიტიკიდან საერთოდ მივდივარო. არახალია ინფორმაცია, რომ ჯაფარიძე-კუბლაშვილი დავით ბეჟუაშვილის გადაბირებასაც ცდილობდნენ. თუმცა, დავით ბეჟუაშვილი, ზოგადად, პოლიტკომუნიკაბელური ადამიანის სახელითაა ცნობილი და შეხვედრებზე უარს ჯონდი ბაღათურიასაც არ ეუბნება. სხვაა შედეგი, რომელიც, ჯერჯერობით, არ ჩანს, „ვერსიას“ კი ცოტა მეტი ინფორმაცია აქვს: რამდენიმე კვირაა, საპარლამენტო კულუარებში იმაზეც მიდის საუბარი, რომ ნაციონალებს პალიკო კუბლაშვილის ახლო მეგობარი, აკაკი მინაშვილიც ტოვებს. ამის შესახებ არაფერი მსმენიაო, კუბლაშვილმა გამოგვიცხადა, მინაშვილი კი კონტაქტზე არ გამოდის. ისიც გავიგეთ, რომ შესაძლოა, ნაციონალების და არა უმცირესობის რიგები ყოფილმა ძალოვანებმაც დატოვონ, მაგალითად კიდევ ერთმა მაჟორიტარმა ტარიელ ლონდარიძემ. ეს ნაციონალებში მიმდინარე რყევების მოკლე მიმოხილვაა პარლამენტსშიგნით. თუმცა მარტო ნაციონალების გემი ხომ არ იძირება?!

„ოცნებაშიც“ დიდი ცვლილებებია დაგეგმილი, ხალხი პანიკაშია, რადგან უმეტესობა „ლაფატკაზე“ ზისო, ამბობენ ბოროტი ენები. ადვილი გამოსაყოფია გარკვეული ჯგუფი „ოცნებიდან“, რომელიც განსაკუთრებით რადიკალურია თავისი ქცევებითა და განცხადებებით და ეკრანებზე მათი გამოჩენა მუდმივად იუმორისტულ სკეტჩს ჰგავს. ასეთების ყოლისგან პარტია დაზღვეული არასდროსაა, მაგრამ ამდენი „იუმორისტი“ ამ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში გახალისების ნაცვლად, უკვე ხალხის აგრესიას იწვევს. როგორც ამბობენ, საპარლამენტო სიები ახლა აქტიურად კომპლექტდება, „ოცნების სია 2016“ კი სრულიად გადახალისებული იქნება. მასში ძველ სახეებს მცირე რაოდენობით ვიხილავთ. „გაცხრილულთა“ დიდი ნაწილი კი, დიდი ალბათობით, კვლავ მოისურვებს პოლიტიკაში დარჩენას. ჰოდა,

გოგა ხაჩიძისა და თამაზ მეჭიაურის ორ თანადროულ განცხადებას ერთმანეთს თუ მივუმატებთ, ასეთ მოცემულობას მივიღებთ: ახალი ძალა, რომელიც ნაციონალებს დაამარცხებს, „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ იქნება და ექსნაციონალებითა და ექსმეოცნებეებით დაკომპლექტდება. რატომ არ ჯდება ლოგიკაში, რომ რაღაც საპარლამენტო ჯგუფი შეიკრას, „ოცნების“ სიის გარეთ დარჩენილებისა და ნაციონალებიდან გამოყოფილი დეპუტატების მეშვეობით? რითაა ცუდი „გამოყოფილ-დარჩენილთა“ გაერთიანება, თუკი ისინი 2016 წლის არჩევნებამდე ფრაქციასაც გააკეთებენ, არჩევნებშიც ჩაერთვებიან, კამპანიაში საპარლამენტო ტრიბუნასაც გამოიყენებენ და სხვა „დეპუტატურ“ სიკეთეებსაც?

თან, არ მგონია, ამ „ახალი ცენტრის“ წევრ „პოლიტიკის მამებს“ დაფინანსების წყაროების მოზიდვა გაუჭირდეთ, უკვე მოზიდული თუ არ ჰყავთ. გარდა ამისა, კიდევ ერთი თავისუფალი სივრცეა ასათვისებელი, უპარტიო მაჟორიტარების ფრაქცია, გოგი ლიპარტელიანით სათავეში. ამ ფრაქციიდამ ერთი კაცი მაინც რომ შეიმატონ, „ახალი პოლიტიკური ცენტრის“ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ამ ფრაქციის რიგები კი ძირითადად, ბიზნესმენი მაჟორიტარებითაა დაკომპლექტებული. მისი წევრია, მაგალითად, კახა ოქრიაშვილი, დმანისის მაჟორიტარი დეპუტატი და ფარმაცევტული ქსელის „ᲗᲡᲞ“-ს თანადამფუძნებელი. პარლამენტში გამოგდებული დეპუტატებიც გვყავს, აბუნტებულებიც, მაგალითად, მურმან დუმბაძე და კობა დავითაშვილიც. ერთი სიტყვით, სამოქმედო არეალი დიდია. ჩვენ კი, მსჯელობაში შორს რომ არ წავსულიყავით, **თამაზ მეჭიაურს** მისი პოპულარული განცხადების დაზუსტება ვთხოვეთ — ვინაა ის ახალი პარტია, რომელიც ნაციონალებს დაამარცხებს? **„მე ვამბობდი, რომ გამოჩნდება ახალი ძალა, რომელიც ნაციონალებს დაამარცხებს. როგორ შეიძლება, ეს ძალა „ოცნებიდან“ გამოიყოს და რადიკალური გახდეს? სულ სხვა რამ ვთქვი: ის ხალხი, ვინც ჩვენებზეა განაწყენებული, რადგან სოციალური პრობლემები ვერ გადავწყვიტეთ და სამართლიანობის აღდგენა დავაგვიანეთ, ჩვენგან წავა და დაამარცხებს ნაციონალებს. ამომრჩეველზე მქონდა საუბარი, რომელიც „ოცნებაზეა“ განაწყენებული და მას ზურგს შეაქცევს, კოჰაბიტაციისა და არაეფექტური ნაბიჯების გამო. ვგულისხმობდი, რომ ხალხი წავა არა „ნაცებსა“ და „ოცნებასთან“, არამედ უფრო რადიკალურ ძალასთან, რომლის მეშვეობითაც ნაციონალური მოძრაობა დამარცხდება... არ ვიცი, ასეთი ძალა პარლამენტსშიგნითაა თუ სად. მე ამაში მონაწილეობას არ მივიღებ — თავს ლიდერად არ მივიჩნევ, ივანიშვილის გუნდის წევრი ვარ და ამ გუნდის პროგრამის ფარგლებში ვიმოქმედებ. რაც შეეხება სიას, ბატონმა ბიძინამ უნდა გადაწყვიტოს, 2016 წელს ვინ იქნება მის გუნდში“.**

არადა, ამ განცხადების მერე, „ოცნებას“ ჩრდილოვან მმართველობაზე სიტყვას რომ გადაუკრავ, აქეთ ეწყინება. კიდევ ერთმა „ოცნებიდან“ წამოსულ-გამოგდებულმა დეპუტატმა, მურმან დუბაძემ კი ივარაუდა, რომ **„ალბათ, „ახალმა ცენტრმა“ ჩათვალა, იმ ადამიანებთან შეიძლება მოლაპარაკება, ვინც „ოცნების“ უმრავლესობაში აღარ არის. თუმცა მე არც მათ „ახალ ცენტრში“ მივდივარ და ჩემსა და მათ შორის ამ თემაზე საუბარი არც ყოფილა. ერთი რამ შემიძლია გადაჭრით ვთქვა— „ქართული ოცნება“ არათუ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს მომავალ არჩევნებში, არამედ დიდ ოპოზიციურ გაერთიანებასაც კი ვერ გადაუსწრებს დიდად. თუმცა არ ვიცი, ვინ იქნება ამ გაერთიანებაში“.** კიდევ ერთმა დეპუტატმა, მეჭიაურის კოლეგამ და თანაპარტიელმა **ომარ ნიშნიანიძემ** კი ახალი პარტიის გამოჩენის შესახებ განცხადება თავად განახლებული „ოცნების“ გამოჩენას დაუკავშირა: **„ვფიქრობ, ეს ახალი ძალა შეიძლება იყოს „ქართული ოცნების“ სრულიად განახლებული, გადახალისებული შემადგენლობა და პარტია. ძალა, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას დაამარცხებს, იქნება „ქართული ოცნება“, გადახალისებული სიით და მათ დაემატება რამდენიმე გამოკვეთილი არასაპარლამენტო ჯგუფი, რომელიც ოპოზიციაშია და ღირსია, პარლამენტში რაღაც კვოტით იყოს წარმოდგენილი. დამენანება, თუ „ქართული ოცნებიდან“ ვინმე ამ წამოსული ნაციონალებისკენ გადაიხრება. ისე, აქამდე ამაზე არ მიფიქრია, ახლა კი შეიძლება დავფიქრდე — ვინც სიაში ვერ შევა, ახალ ცენტრში წასვლას გადაწყვეტს? დავფიქრდები, დავაკვირდები, ვის შეიძლება ასეთი განზრახვა ჰქონდეს“.**

ალბათ, ასეთი განზრახვების შესახებ სულ ცოტა ხანში გამოჩნდება, რადგან „ახალი პოლიტიკური ცენტრის“, ანდაც, დარჩენილ-გამოყოფილების გაერთიანების წარდგენა უახლოეს თვეებში უკვე დაანონსებულია.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

გიორგი მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში იმყოფება

სახელმწიფოს მეთაური გიორგი მარგველაშვილი, დელეგაციასთან ერთად, ნიუ-იორკს 27 სექტემბერს ეწვია. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში იგეგმება ორმხრივი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან.

ქვეყნის მთავარსარდალი კონექტიკუტის შტატში, ქალაქ ნიუ-ჰევენში სანაპირო დაცვის აკადემიაში (Coast Guards Academy) სიტყვით გამოვა და დაღუპული ქართველი კადეტების — სოსო მაკარიძისა და ბესო გორჯოლაძის ხსოვნას პატივს მიაგებს. ნიუ-იორკში ასევე, დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის საჯარო გამოსვლები საგარეო ურთიერთობათა საბჭოში და ფორდჰეიმის უნივერსიტეტში. ქვეყნის პირველი პირი მონაწილეობას მიიღებს ლიტვის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში — „აღმოსავლეთ ევროპის მომავალი, ქალთა როლის გაძლიერება“. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი 29 სექტემბერს ვაშინგტონს ეწვევა, სადაც დაგეგმილია შეხვედრები თხუთმეტამდე სენატორთან და კონგრესმენთან, მათ შორის არიზონას შტატის სენატორ ჯონ მაკკეინთან. ვაშინგტონში გიორგი მარგველაშვილი მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტებს და ბიზნესწრეების წარმომადგენლებს შეხვდება. საქართველოს პრეზიდენტი „ოლბრაიშ სთოუნბრიჯ გრუპის“ ხელმძღვანელს მადლენ ოლბრაიტს სამუშაო საუზმეზე უმასპინძლებს. ქვეყნის პირველი პირი „ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) ხელმძღვანელებთანაც გამართავს სამუშაო სადილს. დაგეგმილია პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა ვილსონის ცენტრში, ასევე სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში. საქართველოს პრეზიდენტი ამერიკაში მცხოვრებ ქართულ დიასპორასაც შეხვდება. ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის ინტერვიუები საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან. საქართველოს პრეზიდენტის დელეგაციის შემადგენლობაში არიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლები.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი აშშ-ში 2 ოქტომბერს დასრულდება.

„ინტერპრესნიუსი“

„12 ოპოზიციური პარტია მხოლოდ იმაზე მუშაობდა, ირმა ინაშვილს კანდიდატურა მოეხსნა“

ვის უწოდებს საფელიფტებს, „პოლიტიკურ ეგოისტებს“ და ნულოვანი შანსის მქონე პარტიებს დავით თარხან-მოურავი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

დასანანია, რომ ქართული ოპოზიციური სპექტრი წარსულ გამოცდილებაზე ჭკუას არ სწავლობს. ოპოზიცია ისევ ოპოზიციის წინააღმდეგ დადგა: ერთი მხარე შუალედურ არჩევნებში არ მონაწილეობს, მეორე კი, რომელსაც გამარჯვების მეტი შანსი აქვს, ამ შანსს არ კარგავს და ხელისუფლების სატელიტის იარლიყიც მიეკერა. 12 პარტია შეთანხმდა, „ოცნება“ მარტვილი-საგარეჯოს არჩევნებში მარტო დატოვოს. ამ პრეტენზიას „პატრიოტთა ალიანსსაც“ უყენებენ, თუმცა ვერ აიყოლიეს — ირმა ინაშვილი აქტიურ საარჩევნო ფაზაშია და თავის მხრივ, დანარჩენ ოპოზიციას მხარდაჭერისა და ძალების გაერთიანებისკენ მოუწოდებს. რა ხდება რეალურად ოპოზიციაში, გრძნობს თუ არა თავს გამიჯნულად და რას მოუტანს მის პარტიას ერთი კაცის პარლამენტში გაყვანა — „ვერსიისთვის“ ანალიზს პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავი აკეთებს.

— 12 პარტიად გაერთიანებული ოპოზიცია შუალედურ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. ისინი ახლა 200 000 ხელმოწერას აგროვებენ საარჩევნო სისტემის შესაცვლელად, თქვენ კი არჩევნებში მონაწილეობთ. **რატომ არ ხართ დანარჩენ ოპოზიციასთან?**

— ჯერ სხვა კითხვას უნდა ვუპასუხოთ: საერთოდ, რას ნიშნავს ოპოზიცია. ვინ არის ოპოზიცია, მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა? მე მათ ოპოზიციად არ ვცნობ, რადგან ისინი დამნაშავეები არიან. ეს ორგანიზაცია დანაშაულებრივი და საერთოდ დასახურია. ვინ არიან დანარჩენები: ამ 12 პარტიიდან ნახევარი ნაციონალების ფრთისქვეშ შეიქმნა, ან ახლაც მის ფრთისქვეშ არიან. რა ოპოზიციური ძალაა ზურაბ ხარატიშვილის პარტია?! ის ნაციონალების ქვეშევრდომი ორგანოა და ამბობს, პარტია ვარო. არიან ისეთებიც, ვინც მისი თანამშრომლები ცოტა გვიან გახდნენ, ამიტომ ამ პარტიებს ოპოზიციად არ ვაღიარებ. მეორე ნაწილს რაც შეეხება, ნინო ბურჯანაძე არ მუშაობს სააკაშვილზე, ეს ცალსახაა, თუმცა ისიც და სხვებიც პოლიტიკური ეგოიზმით არიან დაკავებულნი. ხედავენ, რომ ვერ გაიმარჯვებენ და ამიტომ აცხადებენ ბოიკოტს. ბურჯანაძეს ან კუკავას გამარჯვების შანსი რომ ჰქონდეთ, ბოიკოტს გამოაცხადებდნენ? რა თქმა უნდა, არა — წავიდოდნენ და გაიმარჯვებდნენ.

— **ანუ ამ პარტიებს საერთო ის აქვთ, რომ ხელმოცარულები არიან?**

— არ მინდა ასეთი ტერმინების ხმარება.

> **ამ 12 პარტიას მარტივი მოტივი აქვს: საკუთარი ნულოვანი რეიტინგის გამოჩენა არ სურთ. ვიდრე ისინი ბოიკოტს გამოაცხადებდნენ, მანამდე მხოლოდ ერთ საკითხზე მიდიოდა მუშაობა — ირმა, კანდიდატურას ნუ დააყენებო. 12-ვე პარტია ეუბნებოდა, გინდა თუ არა, კანდიდატურა მოხსენიო და რომ არ მოხსნა, ამიტომაც გადავიდნენ ბოიკოტზე. იციან, რომ 100-ით 0-ს მოიგებს ინაშვილი. ნაციონალებმა კი მონაწილეობა რომ მიიღონ, 3-4%-ს აიღებენ, ირმა კი – 60%-ს. ამიტომ „ნაცებს“ არ აწყობთ, ვაშინგტონსა და ბრიუსელში ნახონ, რომ მას აღარც რეიტინგი აქვს და აღარც ხალხს უყვარს. აი, ამიტომ გამოიგონეს ბოიკოტი. იგივე მიზეზი აქვს ბურჯანაძესაც, ნათელაშვილსაც, მემარჯვენეებსაც და ყველა დანარჩენსაც.**

ბოლო ბოლო, ეთქვათ, მხარს ირმა ინაშვილს ვუჭერთო, ამას არ ვიმსახურებთ? ეს ზნეობრივი და ლოგიკური იქნებოდა. რა უშლის ხელს? ნაციონალების თამაშს არიან აყოლილნი!

— **მერე რა, რატომ არ შეიძლება, ნაციონალებთან ერთად პარლამენტში შესვლა უნდოდეთ?**

— ღმერთმა დალოცოს მათი სურვილები. მაშინ დემაგოგიას დაანებონ თავი, როცა ამბობენ, ხელისუფლებას ეხმარებით და მარტო არ ტოვებთ არჩევნებშიო. ეს სისულელეა! ხელისუფლება მარტო ისედაც არ არის, რადგან უკვე სხვა კანდიდატებიც დარეგისტრირდნენ. თან, თუ დასჭირდა, ყოველთვის მოძებნის ერთ-ორ პარტიას, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობას მიაღებინებს.

— **თქვენს წინააღმდეგ სწორედ ხელისუფლების რამდენიმე ლიდერის განცხადებაც მოქმედებს: პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში უნდა მოხვდესო. „ოცნება“ სხვას ასე რატომ არ გულშემატკივრობს?**

— ძალიანაც კარგი! ირმა ინაშვილი პარლამენტში შესვლას იმსახურებს და ხელისუფლებას ეს რატომ არ უნდა უნდოდეს? ამიტომ უნდა თქვან ჩვენზე ვიღაცებმა, ოპოზიცია კი არა, სატელიტები არიანო?! მინიმუმ, ის ხომ მაინც უნდა ესმოდეთ, რას ნიშნავს სატელიტობა — „ოცნებამ“ შეგვქმნა, საიდუმლო ურთიერთობა გვაქვს, ფინანსურად გვეხმარებიან თუ რა?! ეს განცხადება აბსურდია. ბევრ საკითხში „ოცნების“ მოკავშირეები ვართ და ამასთან სატელიტობა არაფერ შუაშია. ვინც ამას ამბობს, გასაანალიზებლად ჭკუა არ ჰყოფნის და დაავიწყდა, რომ „ოცნება“, ფაქტობრივად, ჩვენ მოვიყვანეთ! დანაშაული ან სამარცხვინო რაა იმაში, რომ „ოცნებაში“ ჩვენი ბევრი მეგობარია? ეს ხელისუფლება ვინმეს აუპატიურებს, კლავს, ციხეები გაავსო თუ რეჟიმად გარდაიქმნა?! მათთან ერთად კოალიციაში ყოფნა რომ გვდომებოდა, ვიქნებოდით კიდეც. ეს კი მთელი რიგი მიზეზების გამო არ გვინდოდა. ვურჩევ, ცოტა მეტი წიგნი წაიკითხონ და გაარკვიონ, რას ნიშნავს ოპოზიცია და სატელიტობა. არ მგონია, გაბედონ და „ოცნება“ ჩვენზე მეტად აკრიტიკონ.

— **ამდენი ვისაუბრეთ ოპოზიციის მოტივებზე და თქვენი მოტივი რაღა არის, რას გაძლევთ ერთი კაცი პარლამენტში, ეს რა ბერკეტია?**

— ჯერ ერთი, ირმა ინაშვილი ისეთია, პარლამენტში სერიოზულ დისონანსს შეიტანს. გამარჯვება მნიშვნელოვანი იმიტომაა, ხალხმა დაინახოს, რომ ჩვენი პარტია, მინიმუმ, მეორეა საქართველოში. თბილისში „ოცნება“ ცალსახად გვიგებს, მაგრამ ზოგ რაიონში დიდი სხვაობით ვიმარჯვებთ. ამას ჩვენი შიდაკვლევა აჩვენებს. თუმცა თბილისი მაინც გადამწყვეტია და ჯამურად, მეორე ადგილზე ვართ. ყველა დანარჩენი პარტია კი მესამე კი არა, პირდაპირ მეჩვიდმეტე ადგილზეა. სწორედ ამის გამოსაჩენად ვმონაწილეობთ არჩევნებში. გარდა ამისა, ეს იქნება ტრამპლინი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, სადაც პირველ თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, მეორე ადგილს დავიკავებთ.

— **„ოცნებისა“ და ნაციონალების განსხვავებაზე მესაუბრებით, მაგრამ სახეზე ბევრი მსგავსებაა. რითაა „ოცნება“ უკეთესი, როცა თინა ხიდაშელი რაიონში წინასაარჩევნოდ გამოჩნდა ოცნება-რესპუბლიკელების კანდიდატის მხარდასაჭერად. ადმინისტრაციულ რესურსს ნაციონალები რომ იყენებდნენ, ეს მიუღებელი მარტო მაშინ იყო?**

— სწორედ რესპუბლიკელები ჩიოდნენ 10 წელი, რა ცუდი საარჩევნო კანონები გვაქვს და მინისტრები რატომ ერევიან არჩევნებშიო. ახლა კი თავად გახდნენ მინისტრები, არ შეცვალეს კანონები და თავად დადიან რაიონებში. ეს იმიტომ, რომ რესპუბლიკელები სრულ მარცხს განიცდიან და აბსოლუტურად ნულოვანი მაჩვენებელი აქვთ. ისე, ბერძენიშვილმა თქვა, ახლა საგარეჯოში იდეოლოგიური ბრძოლაა რუსეთ-ამერიკას შორისო. ასე სააკაშვილი იქცეოდა, რომელიც პარტიებს სხვადასხვა იარლიყს აწებებდა და ამერიკის თვალში რუსეთის აგენტებად გამოჰყავდა — პროდასავლელი აქ მარტო მე ვარ და მე მელაპარაკეო. სააკაშვილი რესპუბლიკელებსაც რუსების აგენტებს ეძახდა და სატელეფონო საუბრებსაც გვასმენინებდა, თუმცა არასდროს მითქვამს, არც კი მიფიქრია, რომ ლევან ბერძენიშვილი რუსეთის აგენტია. ყოველთვის მესმოდა, რომ ბინძური პიარი იყო. დღეს კი, როცა ეს 1%-იანი პარტია, რატომღაც, ხელისუფლებაში აღმოჩნდა, იგივეს აკეთებს. ვერ ვიხსენებ, მე და ირმა რუსეთში ვინმეს დავლაპარაკებოდით ან შევხვედროდით, სამაგიეროდ, კარგად მახსოვს ბერძენიშვილის სატელეფონო ჩანაწერები. ასეთი აზროვნება პრიმიტივიზმია. ახლა რესპუბლიკელებს სურთ, ამერიკელებს უთხრან, მარტო მე მელაპარაკე, სხვა ყველა რუსეთის აგენტიაო. ის, რომ რესპუბლიკური პარტია და ნაციონალები ხვევნა-კოცნასა და ყღურტულში არიან და კარგადაც თანამშრომლობენ, ყველამ იცის. ნაციონალები, სავარაუდოდ, სწორედ რესპუბლიკელების კანდიდატს დაუჭერენ მხარს საგარეჯოში. რა მიხვედრა უნდა იმასაც, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი იგივე ნავში ზის, რომელშიც ნაცმოძრაობა. მას ამ ნავში ამერიკელები სვამენ.

— **პრორუსულობის არ იყოს, ესეც კლიშეს ჰგავს... რას გულისხმობთ?**

— ნაციონალები დიდ ფულს ხარჯავენ ამერიკაში ლობისტებზე, არასამთავრობოებზე, მედიაზე, რათა შექმნან აზრი, რომ რეალურად პროდასავლურ ძალას წარმოადგენენ. სააკაშვილი სერიოზულ ფულს ხარჯავს დასავლეთშიც და მიზანს, გარკვეულწილად, მიაღწია-კიდეც. მას სურს, ყველა დაარწმუნოს, რომ პოლიტიკური პროცესი მხოლოდ ნაციონალების გარშემო უნდა მიმდინარეობდეს საქართველოში.

— **და ამ ყველაფერთან მარგველაშვილს რა კავშირი აქვს?**

— გეტყვით, რას ლობირებენ სააკაშვილის ლობისტები: ამერიკელმა სენატორებმა, კონგრესმენებმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა ქართულ პოლიტიკურ სპექტრს სააკაშვილთან მჭიდრო თანამშრომლობა უნდა შესთავაზოს. ამერიკაში რომ ვიყავით, ჩვენც შემოგვთავაზეს იგივე და ასე დარწმუნებით ამიტომაც ვამბობ. ერთგვარი ლოზუნგიც კი შექმნეს — რატომ ფიქრობ წარსულზე, იფიქრე მომავალზე. დიდი ხანია, ასე „ამუშავებენ“ პრეზიდენტსაც, რომელიც უკვე აქტიურად თანამშრომლობს ნაციონალებთან. იგივე რჩევებს აძლევენ რესპუბლიკელებსაც და ალასანიასაც. თუმცა ირაკლი ამ საკითხს გაურბის, რადგან ხვდება, ეს ყველანაირად წამგებიანია.

— **საერთოდ არ მესმის, რაში სჭირდება ამერიკას სააკაშვილი კვლავ საქართველოს სათავეში?**

— ამერიკას სააკაშვილი და ნაცმოძრაობა თავისი მეგობარი ჰგონია და ამდენი ხანია, ვერ გავაგებინეთ, ასე არ არის.

— **ამასობაში, „ოცნება“ „ვარდების რევოლუცია 2“-ს ელის. ამტკიცებენ, ნაციონალებს სურთ, ჯერ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და მერე ჩაატარონ არჩევნებიო. ამის რესურსი და ამერიკის იმედი აქვთ ნაციონალებს?**

— ნაციონალური მოძრაობა ამას რომ აპირებს, მეც ვიცი და ისიც ვიცი, რომ საქართველოში ორჯერ სურდათ უკრაინული მაიდნის მსგავსი არეულობის მოწყობა. „ობიექტივმა“ საწყობებიც კი გადაიღო, სადაც საბურავები ჰქონდათ.

— **დამეთანხმებით, ეს კომიკური უფრო იყო...**

— იცით, რატომაა კომიკური? — იმიტომ, რომ ჩანაფიქრი აქვთ, რესურსი — არა. სააკაშვილი ისევ ილუზიებში ცხოვრობს და ჰგონია, რაღაც შეუძლია. სინამდვილეში, ბათუმში, ერთ აქციაზე იმაზე მეტ ხალხს მოვიყვან, ვიდრე ეგენი თბილისში. რესურსი არ აქვთ, თორემ მათ მიტინგებზე მართლა 30 000 კაცი რომ მისულიყო, ეჭვი არ შეგეპაროთ, მთავრობის სახლის აღებას დაიწყებდნენ. მათ ლიდერებს თუ არ დაიჭერენ და დასჯიან, ასეთი გეგმები სულ ექნებათ. მსგავს ილუზიებს დროზე თუ არ აღკვეთენ, შეიძლება, ამან საზოგადოებას ზიანი მოუტანოს — ჩხუბი მოხდეს, ვიღაც დაზიანდეს, ვიღაც მოკვდეს. ისინი ხელისუფლებას ვერ შეცვლიან, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ ვერავის ვერაფერს ავნებენ. შეიძლება, აქციაც მოაწყონ, მიზანს ვერ მიაღწიონ, მაგრამ ხალხი დაზარალდეს. სწორედ ეს არ უნდა დაუშვას „ოცნებამ“.

— **ნაციონალებზე არანაკლები საფრთხის მოტანა ოპოზიციის იმ ნაწილს არ შეუძლია, ვინც კვლავ რუსეთში დაიარება? ჯერ ბაღათურია, მერე ბურჯანაძე... ეს რას ნიშნავს?**

— ერთი რამ ყველას უნდა ესმოდეს — საქართველოში ამერიკული გავლენა და პროექტები იმდენად დიდია, თუნდაც ბაქო-ჯეიჰანი და შაჰდენიზი, ამერიკის საქართველოდან ბოლომდე გაძევება ვერ და არ მოხდება. ამას მარტო ამერიკა კი არა, აზერბაიჯანიც არ დაუშვებს. არავინ იფიქროს, რუსეთში დავბრუნდებით და ბედნიერად ვიცხოვრებთო. ამერიკასა და ევროპას ვერც გავექცევით და არც უნდა გავექცეთ, რადგან რუსეთთან ურთიერთობისას გარანტორია საჭირო. თუმცა ისიც უნდა გავიგოთ, რომ ვერც რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გარეშე ვიქნებით უკეთ. თუ უგნურად მოვიქცევით, რუსეთს დღესაც შეუძლია, 5 ნაწილად დაგვყოს და ვერავინ დაგვეხმარება. იცით, ჩვენც ძალიან გვინდოდა ნატო-ში, გაცილებით ადრე, ვიდრე ამას რესპუბლიკური პარტია იტყოდა. ჩვენი წევრები „საქართველო-ნატოს“ დამფუძნებლები არიან, მაგრამ ჩვენ არც არავის ვატყუებთ და არც თავს ვიტყუებთ. ზუსტად ვიცით, რომ საქართველოს ნატო-ში მიღების საკითხს 2020 წლამდე არც განიხილავენ. ამის თქმა ანტიდასავლურობა არ არის, ეს ბოდვაა და პრიმიტივიზმი. თან მოსახლეობის დიდ ნაწილს მოსწონს რუსეთი და ესეც კარგად იციან.

— **რომელ დიდ ნაწილს? ეს ძალიან სადავო თემაა.**

— ეს ჩემი კი არა, ნაცმოძრაობის მონაცემებია — ევრაზიული კავშირის მომხრე, ბოლო გამოკითხვებით, ხომ 27% იყო?! მიდგომები მთელ მსოფლიოში შეიცვალა და ჩვენც, ნელ-ნელა საერთო ენის მოძებნა უნდა დავიწყოთ რუსეთთან. ამის გარეშე საქართველოს მომავალი არ აქვს, მაგრამ ეს ურთიერთობა ერთი ერთზე კი არა, ამერიკელებისა და დასავლეთის ჩართულობით უნდა დალაგდეს, რადგან რუსეთთან მარტო თუ დავრჩით, ნებისმიერ მოლაპარაკებას დაარღვევს.

> **— მაშინ განმარტეთ, ვინ უნდა დაალაგოს რუსეთთან ეს ურთიერთობა?**
> **— ამას ვერ გააკეთებს ოპოზიციური პარტია. ეს ხელისუფლების საქმეა. ოპოზიციას ამის ბერკეტები არ აქვს. თუ ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, ხმამაღლა ვამბობთ, რომ დავალაგებთ ურთიერთობას ვაშინგტონთან, ბრიუსელსა და მოსკოვთან. ეს პრორურუსულობა არაა. ეს, პირველ რიგში, საქართველოს ინტერესებში შედის.**

ვერსიანიუსი

დავით უსუფაშვილი მოსამართლეებს მიმართავს

ყველა მოსამართლეს მივმართავ, გამოიყენოს ჯერ კიდევ არსებული შანსი, რომ საქართველოში მართლმსაჯულება, ერთხელ და სამუდამოდ, გათავისუფლდეს პოლიტიკური თუ სხვა წნეხისგან, — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. მან გიგი უგულავას მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები კიდევ ერთხელ შეაფასა და აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი უნდა განესაზღვრა მას შემდეგ, რაც ხელთ ექნებოდა ეს გადაწყვეტილება.

უსუფაშვილის განცხადებით, მართლმსაჯულების გათავისუფლების პროცესი დაწყებულია და მნიშვნელოვნად არის წინ წაწეული, მაგრამ ამ პროცესს სჭირდება ლოგიკური დასასრული: **„მე რა ვთქვი, სხვამ რა თქვა, ვის ვისგან რა ეწყინა, გადავდოთ გვერდზე, ავიღოთ კანონი, ვუსმინოთ ჩვენს სინდისს და მივიღოთ გადაწყვეტილებები. ეს იქნება სწორი და ეს იქნება გამოსავალი ამ ყველაფრიდან. დავანებოთ თავი ამ კალკულაციებს — როდის რა გადაწყვეტილებაა მისაღები, ეს ვის ესიამოვნება და არ ესიამოვნება. მივიღოთ გადაწყვეტილება, სანამ ჯერ კიდევ შესაძლებელია. ის შანსი, რაც ხელისუფლების ცვლილებამ მოიტანა, ჯერ კიდევ გვაძლევს ამის საშუალებას“.**

„ინტერპრესნიუსი“

შვილის მკვლელის ძებნას შეწირული

რატომ შერჩა მხედრიონელ „მურას“ 4 წლის ბავშვის სანოლში ჩაცხრილვა

პატიმარი №0578

რამდენიმე ათეული წელი გავიდა, მაგრამ საქართველოში მხედრიონის არსებობას ვერ ივიწყებენ. როგორც მხედრიონის ლიდერები ამბობენ, თავიდან ეს შეიარაღებული ფორმირება ღირსეული ხალხით იყო დაკომპლექტებული, თუმცა შემდეგ ყველა ნაძირალა და არაკაცი მიეკედლა და სახელიც მათ გაუფუჭეს. იყო შემთხვევები, როცა კონკრეტული ადამიანები დანაშაულს მხედრიონის სახელით სჩადიოდნენ, თუმცა მასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ. აი, ის კი, რაც ორი თვის წინ მოხდა, მხედრიონთან პირდაპირ კავშირშია, რადგან ერთ-ერთი მთავარი გმირი მხედრიონის თბილისის ორგანიზაციის შტაბის უფროსი იყო...

ერთ-ერთი რაიონის გამგეობაში ერთ-ერთმა ბანკმა ახალი აპარატი დადგა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, გამგეობის თანამშრომლებს გაუხარდათ, რადგან ტელეფონის შესავსებად თუ უბრალოდ, რაიმეს გადასახდელად გარეთ გასვლა აღარ უწევდათ. კვირაში ერთხელ ბანკის სპეცმანქანა მოდიოდა და ფეიბოქსიდან ფული მიჰქონდა. მანქანასა და ოპერატორს მუდამ დაჰყვებოდა სამი შეიარაღებული მცველი.

დაახლოებით ორი თვის წინ მანქანა ისევ მოვიდა. აპარატი გახსნეს, ფული სპეციალურ ტომარაში ჩაყარეს და ყველამ შეამჩნია, რომ დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელს გამგეობის სამსახურის უფროსი ყურადღებით აკვირდებოდა. იმდენად ყურადღებით, რომ დაცვამ იუხერხულა და მიტრიალდა. როცა ბანკის მანქანა წავიდა, სამსახურის უფროსმა გამგეობის დაცვის ბიჭებს ჰკითხა, ამ დაცვას თუ იცნობთო?!

„არა, ბატონო გიორგი, ჩვენ სახელმწიფო დაცვა ვართ, სხვა დანაყოფი, ამათ არ ვიცნობთ, თუმცა სულ ესენი დადიან და შეგვიძლია გავიგოთ, თუ რამე გნებავთ“, — უპასუხეს ბიჭებმა.

„უბრალოდ, იმ კაცის სახელი და გვარი გამიგეთ, მე რომ ვუყურებდი წელან“, — თქვა გიორგიმ, შევერცხლილ თმაზე ხელი გადაისვა, ჩაფიქრდა და კიბეებს აუყვა.

ერთი კვირის შემდეგ მანქანა ისევ მოვიდა, თუმცა ის კაცი აღარ ახლდა, გიორგი რომ დაინტერესდა. დაცვის ბიჭებმა მაინც იკითხეს, მაგრამ არ უპასუხეს, უფლება არ გვაქვს, ჩვენი თანამშრომლების ვინაობა გავამხილოთო. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გიორგის მოახსენეს.

„თაზო მოვიდეს ჩემთან“, — მშვიდად უთხრა გიორგიმ მდივანს და ოთახში მისი მოადგილე, თამაზი ს. შემოვიდა.

„თაზო, შენ ბევრს იცნობ, მეც ვიცნობ, მაგრამ... მოკლედ, მე არ მინდა გამოვჩნდე. აქ ერთი კაცი დადიოდა, ბანკის დაცვის მანქანას დაჰყვებოდა და სახელი და გვარი გამიგე. დღეს აღარ მოვიდა. თუ ის არის, ვისაც მე ვფიქრობ...“ — აღარ გააგრძელა გიორგიმ.

„და თუ ის არის?!“ — გააგრძელა თაზომ.

„მიდი, გაიგე, მერე ვილაპარაკოთ“, — დაასრულა გიორგიმ.

მეორე დღეს თაზო გიორგის კაბინეტში შევიდა.

„თქვენ რომ გაინტერესებდათ, იმ კაცს მურმანი ჰქვია, „მურას“ ეძახიან მეტსახელად — შავი ყოფილა ძალიან, შავგრემანი“, — უთხრა გიორგის და დაინახა, სახე როგორ შეეცვალა. ათ წუთში გამგეობის ეზოში სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა და გიორგი საავადმყოფოში გულის შეტევით გადაიყვანეს. ყველა თამაზს ეკითხებოდა, რა მოხდაო, მაგრამ ის არაფერს ამბობდა, მოულოდნელად გახდა ცუდადო. ექიმებმა ავადმყოფთან კონტაქტი ყველას აუკრძალეს. თავთან მეუღლე, ქალბატონი თამარი ეჯდა და ქმრის ხელი ეჭირა. დანარჩენებს სანახავადაც არ უშვებდნენ.

ამ ამბიდან ორ დღეში ღამის ორ საათზე თაზოს ტელეფონმა დარეკა.

„თამარი ვარ, შვილო, გიორგიმ მითხრა მოვიდესო და თუ მოახერხებ, მოდი“, — ჩუმად უთხრა თაზოს და ისიც საავადმყოფოში გაჩნდა.

„დაჯექი, თაზო. არ ვიცი, ექიმები ამბობენ, გამოძვრებიო, მაგრამ კაცმა არ იცის, რა მომივა. მინდა, სიმართლე იცოდე... შვილივით მიყვარხარ, შენც იცი და...

ამას რომ უყურებ, შავები მას შემდეგ არ გაუხდია, რაც ჩვენი შვილი დაიღუპა. იცი შენ ეგ ამბავი, არეულობის დროს დაგვაყაჩაღეს და ყაჩაღს იარაღი გაუვარდა. 4 წლის ანგელოზი ჩავაწვინე მიწაში, ჩემი სიხარული და ჩემი იმედი. მაშინ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც სამართალდამცავებს ვუთხარი. მე თავად ვეძებდი მკვლელს და ვერ ვიპოვე. ქვეყანა დატოვაო, ასე მითხრეს.

სახლი გავყიდე სოფელში, დედაჩემი რომ გარდაიცვალა, იქ ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა, თან მიჭირდა, ფული მჭირდებოდა და გავყიდე. იმ დღესვე დავარიგე ვალში და სახლში ორი ათასამდე დოლარი დამრჩა. ღამე ყაჩაღები შემოგვცვივდნენ და ფულს გვთხოვდნენ. გამოვუტანე, რაც გვქონდა და მეტს ითხოვდნენ. ვუხსნიდი, არ გვაქვს მეტი, ვალი გავისტუმრეთ-მეთქი, მაგრამ არ სჯეროდათ. ერთ-ერთმა ჩემს შვილს მძინარეს დაადო თავზე „გლოკის“ სისტემის იარაღი. თვალთ დამიბნელდა, ვეხვეწე, „გლოკი“ ცუდი იარაღია, ძალიან მარტივად ვარდება-თქო, მაგრამ სისინებდა, ფული მომეცი, თორემ თავის ქალას ავხდიო. გასროლის ხმა არ გამიგია, უბრალოდ ის მახსოვს, ყველაფერი რომ წითლად შეიღება და ეს სიწითლე გასვენების დღემდე თვალწინ მედგა. ახლაც არ მახსოვს, ვინ რას ამბობდა გასვენებაზე, ვინ რას ფიქრობდა, ვინ მოდიოდა და მიდიოდა. შვილის კუბოსთან ვიჯექი, იმ შვილისა, რომელსაც პრაქტიკულად თავი აღარ ჰქონდა...

მერე ძებნა დავიწყე და მითხრეს, შენ მხედრიონელებმა გადაყაჩაღეს და მაგათი მეთაური ვინმე „მურაა“, შტაბის უფროსიო. ქვეყანა დატოვა მეორე დღესვე. მას შემდეგ ვეძებდი, ერთი დღითაც არ შემიწყვეტია ძებნა. რამდენიმე წლის წინ ბინა გაყიდა თბილისში და მაშინ თქვეს მეზობლებმა, აქ ჩამომსვლელი აღარ არის, იტალიაში ცხოვრობსო. იტალიაში რომ ვიყავი შარშან, ვითომ დასასვენებლად, მაგას ვეძებდი სინამდვილეში. მილანთან ახლოს, კომოში ცხოვრობსო, ასე მითხრეს. იქიდანაც წასული დამხვდა და მისი კვალი დავკარგე. არავინ იცოდა, სად გადავიდა... ახლა მივხვდი, დაბრუნებულა. სახეზე ნანახი არ მყავდა, სურათი მანახეს მხოლოდ და მაგ სურათით მეცნო იმ დღეს. თავადაც მიცნო, როგორც ჩანს და იმიტომ აღარ მოვიდა. თუ შეგიძლია, ნუ დამზარდები. ხვალ გამიგე, ისევ მუშაობს დაცვაში თუ გამექცა?!“ — დაასრულა მოყოლა გიორგიმ და მთელი ამ დროის განმავლობაში ქალბატონი თამარი უხმოდ ტიროდა.

მეორე დღეს თაზო ისევ საავადმყოფოში მივიდა.

„შვებულება აუღია „მურას“, სახლიც გავიგე, მუხათგვერდში აქვს აგარაკი და იქ არისო, მაგრამ იმ აგარაკზე არავინ დამხვდა. ბოქლომი ადევს ჭიშკარს“, — უთხრა გიორგის

„კარგი, სასაზღვრო დეპარტამენტში დარეკე ჩემი სახელით და გაარკვიე, საზღვარი ხომ არ დატოვა. დანარჩენს უკვე მე მივხედავ. ახლა სიკვდილის უფლება არ მაქვს“, — ჩაილაპარაკა გიორგიმ.

როგორც გაირკვა, მურა საქართველოდან გასული არ იყო და შესაბამისად, ძებნასაც აზრი ჰქონდა. თუმცა, ყველაფერი მალე რადიკალურად შეიცვალა. გიორგი საავადმყოფოდან უნდა გამოეწერათ, როცა მასთან პალატაში წონიანი სამართალდამცავები მივიდნენ. ჯანმრთელობა მოიკითხეს, შემდეგ კი ჩუმად, მაგრამ მტკიცედ დაიწყეს: „ვიცით, რატომ დაგემართა გულის შეტევა. ისიც ვიცით, რომ „მურას“ ისევ ეძებ, მაგრამ... ჩათვალე, რომ ეგ კაცი ჩვენ გვჭირდება, ძალიან ბევრი ინფორმაცია მოგვცა და რაც მთავარია, გამოსწორებულია. ამიტომ მივეცით იარაღი ხელში და დავასაქმეთ. იქნებ სხვანაირად მოვრიგდეთ, იქნებ რამეზე შევთანხმდეთ... თქვენს შორის ომი არ გამოვა“...

„ფულს მთავაზობთ?!“ — ჩაილაპარაკა გიორგიმ ისეთი ხმით, სამართალდამცავებმა თავი დახარეს, თუმცა პალატაში მყოფი თაზო მიხვდა, გიორგი ისევ ცუდად ხდებოდა და გარეთ გავარდა, ბოლო ხმაზე იღრიალა, ექიმიო და... გიორგის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

* * *

თაზომ „მურას“ მალე მიაგნო — მორჩილად შედგა ერთ-ერთ მონასტერში და...

„რა ვქნათ?!“ — თაზომ გიორგის ბიჭს სახლში მიაკითხა.

„რა უნდა ვქნათ? ბერს ხომ არ მოვკლავ? თან ამდენი წელია გასული, ცოლი მყავს... შვილები“, — უღონოდ ჩაილაპარაკა გიორგის-ძემ.

სხვათა შორის, „მურას“ ცოლი დღემდე ერთ-ერთ სახელმწიფო უწყებაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობს.

ლტოლვილი, რომელიც უნგრელმა ჟურნალისტმა წააქცია, „ალ-ქაიდას“ ბოევიკი აღმოჩნდა

სირიელი ლტოლვილის შვილი საფეხბურთო მოედანზე რონალდუსთან ერთად გამოვიდა, თვით უსამა აბდულ მოხსენმა კი ცხოვრების სრული უბრუნველყოფა და მადრიდის კლუბში სამუშაო მიიღო

შოკისმომგვრელი და მოულოდნელი გაგრძელება აქვს სირიელი ლტოლვილის ერთ ჩვეულებრივ ისტორიას. უნგრეთისა და სერბიის საზღვარზე, უსამა აბდულ მოხსენი თავის შვილთან ერთად პოლიციისგან გაქცევის დროს წააქცია უნგრელმა რეპორტიორმა, რომელიც სიუჟეტისთვის კარგი კადრის გადაღებას ცდილობდა. ამის დამამტკიცებელმა ვიდეომ და ფოტოებმა ინტერნეტში დიდი პოპულარულობა მოიპოვა. გოგონა სამსახურიდან გააგდეს, მოხსენისთვის კი უბედური შემთხვევა დიდ წარმატებად იქცა — მან მუშაობა დაიწყო ესპანეთის კლუბ „ხეტაფეს“ მსაჯების შტაბში და კლუბის ხარჯებით ისინი საცხოვრებლად მადრიდში გადაიყვანეს. თანაც ისე, რომ ყველაფერს უფინანსებენ — კარგ ხელფასს, უფასო საცხოვრებელს და კვებას.... 19 სექტემბერს კი, ლტოლვილის ვაჟი ფეხბურთის მოედანზე „რეალისა“ და „გრანადის“ მატჩის დაწყების წინ, კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად გამოვიდა.

აღმოჩნდა, რომ მოხსენი მართლაც იყო სირიულ ქალაქ დეირ-ეზ-ზორში კლუბ „ალ-ფეტვას“ მსაჯი 2004 წლიდან 2010 წლამდე. ბოლო ხუთი წელი კი ტერორისტი იყო. სირიელი კურდების პარტიამ „დემოკრატიული გაერთიანება“, განაცხადა, რომ ლტოლვილი, რომელიც მთელ მსოფლიოში გმირის სახელით გახდა ცნობილი, არც მეტი, არც ნაკლები, ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ ბოევიკია.

„დემოკრატიული გაერთიანების“ ცნობებით, უსამა აბდულ მოსხენი ერთ-ერთი გამოყოფილი ჯგუფისთვის, „ფრონტ ან-ნუსრასთვის“ იბრძოდა, სანამ მიმიდინარე წლის შემოდგომაზე, ოჯახთან ერთად სირიიდან არ გაიქცა.

გარდა ამისა, აბდულ მოხსენი იყო ჩართული 2014 წელს საფეხბურთო მატჩის შემდეგ კურდების სასტიკ განადგურებაში, სადაც 50 კურდზე მეტი იყო მოკლული სირიელი ძალოვნების მიერ. ასევე მოხსენს ადანაშაულებენ თავისი კლუბის თამაშისას ძალადობის პროვოცირებაში. ამ ყველაფრის დასამტკიცებლად მათ ფოტო გამოიყენეს, რომელიც მოსხენმა აცებოოკ-ში დადო ლტოლვილად თავის გამოცხადების წინ.

რუსუდან ხავთასი

გიგი გიგიაძე: „მოვუწოდებთ მოქალაქეებს, მაქსიმალურად გაუფრთხილდნენ ამ თავისუფლებას“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

რას ნიშნავს თითოეული რიგითი მოქალაქისთვის უვიზო რეჟიმი? რამდენად უპრობლემოდ შეძლებენ საქართველოს მოქალაქეები სხვადასხვა ქვეყანაში მიმოსვლას და ზოგადად, რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება? ყველა კითხვაზე, რომელიც უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით შეგიძლიათ გაგიჩნდეთ, პასუხს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძესთან ინტერვიუში ამოიკითხავთ.

რას ნიშნავს უვიზო მიმოსვლა შენგენის ქვეყნებთან, რა ემუქრება საქართველოს მოქალაქეებს სავიზო რეჟიმის დარღვევისას და დასაშვებია თუ არა 90 დღის ფარგლებში ევროპის რომელიმე ქვეყანაში მუშაობა

— ბატონო გიგი, რატომ გახდა აუცილებელი საგარეო საქმეთა მინისტრის შეცვლა, რას ნიშნავს ამ თანამდებობაზე ეკონომიკის ყოფილი მინისტრის დანიშვნა და საკადრო გადაადგილებების ფონზე, რა სიახლეებს უნდა ველოდეთ?

— ეს გახლდათ ჩვეულებრივი შიდაგადაადგილება. რასაკვირველია, ჩვენი საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომლის ამოსავალი წერტილიც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მაქსიმალური ინტეგრაციაა, უცვლელი რჩება. რაც შეეხება საგარეო მინისტრად ეკონომიკის ყოფილი მინისტრის დანიშვნას, მსგავსი პრაქტიკა გამონაკლისს ნამდვილად არ წარმოადგენს. ვიცე-პრემიერის დანიშვნა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ცხადყოფს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანა საგარეო ურთიერთობებს.

— უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით, საზოგადოებაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ბევრს ჰგონია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, საზღვრები გაიხსნება და მოქალაქეები, უპრობლემოდ შეძლებენ სხვადასხვა ქვეყანაში წასვლას. კონკრეტულად რას ნიშნავს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი და რას მოუტანს საქართველოს მოსახლეობას?

— როგორც ცნობილია, ორ თვეზე მეტია საქართველოს ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მიმდინარეობს აქტიური საინფორმაციო კამპანია და ეთერში გადის სარეკლამო რგოლები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას უვიზო მიმოსვლით სარგებლობის წესების შესახებ. ჩვენი სურვილია, მაქსიმალური ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას და განვუმარტოთ, რას ნიშნავს უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის წევრ, შენგენის ზონაში მყოფ ქვეყნებთან.

ჩვენ ახლა ვიმყოფებით უმნიშვნელოვანეს ეტაპზე. მიმდინარე წლის 8 მაისს, გამოქვეყნდა სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მესამე ანგარიში, რომელშიც მოცემულია მოთხოვნები, რომლებიც საქართველომ უნდა შეასრულოს, რათა საბოლოოდ მივიღოთ დადებითი გადაწყვეტილება უვიზო მიმოსვლის რეჟიმთან დაკავშირებით. ბოლო, მესამე ანგარიშში განსაზღვრული რეკომენდაციების თანახმად, მთლიანად შესრულებულად ჩაითვალა 7 მიმართულება: დოკუმენტების უსაფრთხოება, საზღვრის მართვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სამართლებრივი თანამშრომლობა, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, გადაადგილების თავისუფლება და სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ხელმისაწვდომობა. რაც შეეხება დანარჩენ სფეროებს (მიგრაცია, თავშესაფარი, ტრეფიკინგი, კორუფცია, ნარკოტიკებთან ბრძოლა, სამართალდამცავ სფეროში თანამშრომლობა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა), ევროკომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა იმპლემენტაციის შემდეგ, საქართველოს მიერ სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი დასრულებულად ჩაითვლება.

— ამისთვის რა ვადაა საჭირო და როდის გამოქვეყნდება მორიგი ანგარიში?

— ევროკომისიის მეოთხე ანგარიში გამოქვეყნდება მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოსთვის. ჩვენი მოლოდინია, რომ ანგარიში იქნება საბოლოო. საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ევროკომისიის მესამე ანგარიშით გათვალისწინებული პირობების ზედმიწევნით შესრულებაში. 8 მაისიდან მოყოლებული აგვისტომდე, მივიღეთ 15-მდე საკანონმდებლო ცვლილება, შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები, შემუშავდა შესაბამისი ინსტრუქციები და რეგულაციები, დაინერგა ახალი სერვისები, გააქტიურდა საინფორმაციო კამპანიები VLAP-ით (Visa Liberalisation Action Plan — სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა) განსაზღვრული მიმართულებებით. შეიქმნა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი; შემუშავდა და პარლამენტში განიხილება საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონი; ინერგება საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების სისტემატური კონტროლის მექანიზმი; განისაზღვრა პირდაპირი (გამარტივებული) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი კრიტერიუმები; გამკაცრდა სანქციები საზღვარზე ნაღდი ფულის გადატანასთან დაკავშირებით და შემუშავდა დეკლარაციის ახალი ფორმა; გაიმიჯნა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკების ფლობისა და გასაღებისათვის. ნარკოტიკების ფლობისათვის სანქციები შემსუბუქდა, ხოლო გასაღებისთვის კვლავ მკაცრი ზომებია გათვალისწინებული; შემუშავდა და მალე დამტკიცდება მიგრაციის რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის კონცეფცია; განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებები, თავშესაფრის პოლიტიკის სფეროში არსებული მექანიზმების დახვეწის მიზნით, რაც მოიცავდა შესაბამისი პროცედურების სრულყოფას, დაგროვილი საქმეებისა და მოულოდნელი ნაკადების მართვის სტრატეგიის შემუშავებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, თავშესაფრის მაძიებელთათვის დამატებითი გარანტიების უზრუნველყოფას (მაგალითად, უფასო იურიდიული დახმარება)... შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი სტრატეგია. 2015-2010 წწ. დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდა სამოქალაქო სექტორი და საერთაშორისო ორგანიზაციები;

მიმდინარე წლის 17 აგვისტოს ევროკომისიას გაეგზავნა პროგრესის ანგარიში, რომელიც დეტალურად ასახავს ევროკომისიის რეკომენდაციების თანახმად საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს

სექტემბრის ბოლოს (28 სექტემბერი-2 ოქტომბერი) კი, საქართველოში შედგება შემფასებელი მისიების ვიზიტები 4 მიმართულებით: მიგრაცია, თავშესაფრის პოლიტიკა, ტრეფიკინგისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

— გასაგებია, კანონი კანონად, მაგრამ საზოგადოებას ის აინტერესებს, როდის მოხდება მათი აღსრულება?

— VLAP-ით განსაზღვრულ სფეროებში კანონმდებლობა დიდი ხნის წინაა მიღებული და ევროკომისიის პირველი ანგარიშის შეფასების თანახმად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მესამე ანგარიშის რეკომენდაციების თანახმად გარკვეული საკანონმდებლო აქტების მიღება საჭირო გახდა უკვე არსებული მექანიზმების სრულყოფის, პროცედურების დახვეწის ან პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

— რას მოუტანს ევროპასთან უვიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებს?

> **— დეტალური ინფორმაცია, ატვირთულია საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. მარტივად რომ აგიხსნათ, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნიათ ბიომეტრიული პასპორტები, საშუალება ექნებათ, შევიდნენ და დაჰყონ შენგენის ქვეყნებში 90-180 დღის ფარგლებში. ათვლა დაიწყება შენგენის ზონის საზღვრის გადაკვეთისთანავე. ხაზს ვუსვამთ, რომ საზღვარზე შესაძლებელია მოითხოვონ: უკან დასაბრუნებელი ბილეთი, სასტუმროს ჯავშანი, დაზღვევა და სხვა დოკუმენტები, ამიტომ ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.**

— ვადები როდის დადგინდება?

— ევროკომისია გვთავაზობს გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას იმისათვის, რომ ვიზა-ლიბერალიზაციით აღებული ვალდებულებები შესრულდეს. ამის შემდეგ მოხდება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. თუ დეკემბერში დადებითად გადაწყდება ტექნიკური საკითხი და შემფასებელთა მისიამ დადო დადებითი დასკვნა, უკვე გადავალთ მეორე და საბოლოო ეტაპზე, როცა ევროკავშირის ქვეყნებმა უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება. მოლდოვის შემთხვევაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ამას შეიძლება დასჭირდეს 4-5 თვე.

> **ჩვენი ღრმა რწმენით, ეს იქნება სრულიად რევოლუციური ხასიათის ცვლილება თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის. მათ საშუალება ექნებათ, ტურისტულად იმოგზაურონ ევროკავშირის ტერიტორიაზე, დაესწრონ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი იქნება ბიზნესკონტაქტების დასამყარებლად. ამიტომ, ვფიქრობ, სავიზო ლიბერალიზაცია ეკონომიკური კუთხით განსაკუთრებული სასარგებლო იქნება.**

მთავარია, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი ჩვენსა და ევროკავშირის ურთიერთობაში. ვფიქრობ, სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების რიცხვი, ისედაც ცოტაა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემდეგ, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება დაინახოს, კონკრეტულად რა სარგებელი მოაქვს ევროპაში ინტეგრაციის პროცესს.

— მოსალოდნელია, მეტი პირდაპირი ფრენა დაინიშნოს სხვადასხვა მიმართულებით?

— ეს ალბათ კონკრეტული კომპანიების გადასაწყვეტია, მაგრამ უვიზო რეჟიმი, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ამ პროცესს.

— სავიზო რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებს რა ელოდებათ?

> **— სავიზო რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, მოქალაქე დაექვემდებარება რეადმისიის პროცედურას, ანუ სამშობლოში იძულებით დაბრუნებას და მას გამოაძევებენ შენგენის ზონიდან. რის შემდეგაც მას მინიმუმ 4 წლის განმავლობაში აეკრძალება ევროკავშირში შესვლა. გვინდა, მოვუწოდოთ ჩვენს მოქალაქეებს, რომ მაქსიმალურად გაუფრთხილდნენ ამ თავისუფლებას.**

არსებობს შესაბამისი ვებგვერდიც, სადაც შესაძლებელი იქნება შენგენის ზონაში ყოფნის დღეების კალკულაცია.

— აქვს თუ არა ადამიანს უფლება, 90 დღის განმავლობაში კონკრეტულ ქვეყანაში იმუშაოს?

— მკაფიოდ მინდა აღვნიშნო, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გამარტივების შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს ევროპაში მუშაობისა და ხანგრძლივი, აკადემიური სწავლის დაწყების უფლება არ ექნებათ. სამუშაოდ ან გრძელვადიანი პერიოდით, აკადემიური სწავლის დასაწყებად, მათ ჩვეულებრივად უნდა მიიღონ შესაბამისი კატეგორიის ვიზა, რისთვისაც აუცილებელი იქნება ევროკავშირის წევრი, კონკრეტული ქვეყნის საკონსულოში, შესაბამისი საბუთების წარდგენა და დადებითი გადაწყვეტილებისთვის დაცდა.

ვერსიანიუსი

„ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრობისკენ გზას უხსნის“

გაერო-ს 2015 წლის შემდგომი მდგრადი განვითარების სამიტზე პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით წარსდგა. მთავრობის მეთაურმა 17 მიზნიდან, საქართველოსთვის მნიშვნელოვან რამდენიმეს გაუსვა ხაზი: **„ყურადღებას გავამახვილებ კონკრეტულ მიზნებზე, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. მესამე მიზანი, რომელიც ეხება ყველა ასაკის ადამიანისთვის ჯანმრთელი ცხოვრების უზრუნველყოფას, არის ერთ-ერთი პრიორიტეტი საქართველოში“.** ღარიბაშვილის თქმით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ელექტროენერგიის სექტორში განხორციელდა ძირეული ცვლილებები, რომელთა მიზანიცაა ღია, ლიბერალური და კომერციულად სიცოცხლისუნარიანი ენერგეტიკის სექტორის შექნა, რომელიც გაუძლებს ბაზარზე შესაძლებელ რყევებს: **„ჩვენი ინტენსიური რეფორმების შედეგად, 2007 წლიდან საქართველოს ენერგეტიკის სექტორიდან გატანილი ექსპორტის ოდენობა აღემატება შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი ენერგორესურსების ოდენობას. უნიკალური მდებარეობის წყალობით, საქართველოში არსებობს დიდი შესაძლებლობები ენერგორესურსების ტრანზიტის თვალსაზრისით. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გზას უხსნის საქართველოს ენერგეტიკული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრობისკენ და შესაბამისი მოლაპარაკებების დასრულებისკენ 2016 წლის სექტემბრისთვის“.**

პრემიერმა აღნიშნა, რომ 2000 წელს ათასწლეულის განვითარების მიზნების სტრატეგია მართლაც რევოლუციური იყო, რადგანაც მისი მეშვეობით საქართველომ გამონახა საერთო ენა გლობალური გამოწვევების დასაძლევად.

„პირველი“

პანკისელი ქისტები დახმარებას ითხოვენ

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

რამდენიმე კვირის წინ სტიქიამ და მოვარდნილმა ღვარცოფმა პანკისის მოსახლეობა დააზარალა. სეტყვამ პანკსის ხეობის სოფლებში — ომალოში და ბირკიანში სახლების სახურავები და საყოფაცხოვრებო ნივთები დააზიანა. მოსახლეობა დახმარებას დღემდე ითხოვს და ნახევრად უსახურავო სახლების გადახურვას ელის. მათი განცხადებით, ამ დრომდე მათთვის მიცემული დაპირება ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუსრულებია. საპირისპიროს აცხადებს „ვერსიასთან“ ინტერვიუში ახმეტის რაიონის გამგებელი. მისი თქმით, დაზარალებულ მოსახლეობას ზარალი მთლიანად აუნაზღაურდა. ადგილობრივები კი აღნიშნავენ, რომ რაც გადახურეს, უხარისხოდ გაკეთდა — ძველ, დამპალ ხე-მასალაზე გადააფარეს ე.წ ჟეშტი. მათ ზარალის შესახებ განცხადებები უკვე დაწერეს და განმეორებით რეაგირებას ამ დრომდე უშედეგოდ ელიან. პანკისელების სწუხან, რომ მათი პრობლემები არავის აინტერესებს და ხელისუფლებამ ისინი დაივიწყა.

როგორც სოფელ ომალოს მკვიდრი **ჟორა კუშტანაშვილი** აცხადებს, მისი ოჯახისთვის დღემდე ზარალი სრულად არ აუნაზღაურებიათ და მისი სახლი ყოველი წვიმის დროს წყლით ივსება: **„წვიმა ჩამოგვდის, სახურავი სეტყვის დროს დაგვიზიანდა. სახლი ნახევრად გადახურეს, ნახევარი კი დღემდე გადასახური და გამოსაცვლელია. სოციალურად დაუცველთა 9-სულიანი ოჯახი ვართ. სული ძლივს გვიდგას. ვთხოვ გამგეობას, დაგვეხმაროს! საძინებელზე აღარაფერს ვამბობ, მისაღებში დაძინების საშუალებაც არ მაქვს, რადგან წყალი ჩამოდის. გამგეობაში მაქვს განცხადება შეტანილი. იმედია, გამომეხმაურებიან“.**

72 წლის **ანა ალხანაშვილის** 6-სულიანი ოჯახიც სოციალურად დაუცველია. იგი 4 მცირეწლოვანთან და რძალთან ერთად ცხოვრობს. როგორც ქალბატონი ანა აცხადებს, მას ზარალი საერთოდ არ აუნაზღაურეს და უყურადღებოდ დატოვეს: **„როდესაც დაისეტყვა ჩვენი სოფელი, განცხადება დავწერე. მერე ახმეტიდან მოვიდა ზარალის დამთვლელი კომისია და გვითხრეს, ძალიან არ გაქვთ დაზიანებულიო. როგორ არ მაქვს, წყალი ჩამომდის, „ტაშტები“ მიდგას მაღლა ოთახებში, შეგიძლიათ ნახოთ. გადასახური „ჟეშტი“ მომიტანეს და მერე ისევ უკან წაიღეს, სხვა სახლზე დაგვაკლდაო. რა უნდა ვქნა? უსინათლო ვარ, არც ძალა მაქვს და არც ფული, რომ სახლი გადავხურო“.**

68 წლის **სონა ალადანიძე** მარტოხელა სოციალურად დაუცველი ქალბატონია. მის სახლს ერთი შეხვედითაც ეტყობა, რომ ავარიულია. ამას სტიქიაც დაერთო, რომელმაც სახურავი მთლიანად დააზიანა: **„ერთი შვილი მყავდა და 10 წლის წინ, რუსეთში დამეღუპა. არავინაა ჩემი მომხედავი... არც ამ ხელისუფლების იმედი მაქვს. რამდენი წელია მპირდებიან, ამ ავარიული სახლიდან, სხვა სახლში გადაგიყვანთო, მაგრამ... კედლები სულ დაბზარულია. სტიქიამ სახურავიც დამიზიანა. სანახევროდ გადაფარეს — „ჟეშტი“ გადააფარეს, ხე-მასალა არც შეუცვლიათ და წყალი ისევ ჩამოდის“.**

ქალბატონი **ძარეი წინწალაშვილი** 6-სულიანი ოჯახის წევრია, საიდანაც 4 მცირეწლოვანია. სხვების მსგავსად, ისიც დახმარებას ითხოვს ხელისუფლებისაგან: **„ჩვენი სახლის სახურავი დაზიანებული არასდროს ყოფილა. გამგეობიდან მოსული ხალხი კი გვიმტკიცებს, ადრინდელი დაზიანებულიაო. სეტყვის მოსვლამდე რომ ყოფილიყო დაზიანებული, ასე როგორ ვიქნებოდით? რაღაცას ვიზამდი, პენსიის კრედიტს ავიღებდი და გადავაფარებდი... სეტყვამ მთლიანად დაგვიზიანა სახურავი. სხვებისგან განსხვავებით, ნახევარიც არ გადაგვიფარეს. შევიტანე განცხადება ახმეტის გამგეობაში. მოვალთ დახმარებას გაგიწევთო, მაგრამ აქ არავინ მოსულა და არაფერი შემოუთავაზებია. ხელისუფლებას არ ვახსოვართ. რა ვქნათ, არ ვიცი. სოციალურად დაუცველები ვართ, მაგრამ ამ დრომდე ველოდებით დახმარების აღებას. ვეხვეწები, ნაწილობრივ მაინც დამეხმარეთ-მეთქი, მაგრამ... ვთხოვ ყველას, დამეხმარონ, ბავშვიც კი გამიხდა ცუდად ამ სინესტის გამო — ავდარში, სახლშიც ისე წვიმს, როგორც გარეთ“.**

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ედუარდ შ. ხობში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, 4 შეკვრად დაფასოებული 80,26295 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 15,5231 გრ ჰეროინს შეიცავს. ასევე ამოღებულია მეტადონის შემცველი 5 აბი. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად ედუარდ შ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკების, მარიხუანის და მეტადონის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტუდენტები ეწვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტები ეწვივნენ. სტუდენტებს შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები შეხვდნენ.

შეხვედრაზე სტუდენტებს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნეს. სტუმრებმა ასევე დეტალური ინფორმაცია მიიღეს ევროინტეგრაციის კუთხით შსს-ს კომპეტენციაში შემავალი ვალდებულებების განხორციელების შესახებ, კერძოდ, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით, ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების იმპლემენტაციის თაობაზე. ღონისძიება მიზნად ისახავდა შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებისა და ევროინტეგრაციის კუთხით განხორციელებული საქმიანობის შესახებ სტუდენტების ინფორმირებას.

შსს-ს აკადემიაში ამერიკელმა სპეციალისტებმა ტრენინგი ჩაატარეს

შსს-ს აკადემიაში საზოგადოებასთან ურთიერთობის და სოციალური მედიის თემაზე ხუთდღიანი ტრენინგი ჩატარდა. სწავლებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის, შსს-ს სსიპ-ების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ტრენინგი საქართველოში აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით და აშშ-ს ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს (GBI) მხარდაჭერით გაიმართა. სწავლებას ჯორჯიის შტატის ქალაქ დანვუდის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ბილ გროგანი და მედიასთან ურთიერთობის სპეციალისტი თიმ ბაროუზი წარუძღვნენ.

სწავლების დროს განიხილეს საზოგადოებასთან ურთიერთობების, საზოგადოებისთვის ძირითადი მესიჯების მიწოდების, სოციალური მედიის ეფექტურად გამოყენების, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფარგლებში სოციალური მედიის როლის განსაზღვრის, მედიასთან დაკავშირებული გამოწვევების და კრიზისული სიტუაციების დროს სწორი კომუნიკაციის საკითხები. სწავლების ფარგლებში ასევე განიხილეს პრაქტიკული მაგალითები და გაიმართა მსოფლიოში მომხდარი, გახმაურებული ფაქტების ირგვლივ მსჯელობა, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ურთიერთობების კუთხით ამერიკული სტანდარტების უკეთ გაცნობისთვის.

შსს-ს წარმომადგენლებისთვის მსგავსი სწავლება უკვე მეორედ ჩატარდა. კურსის დასრულების შემდეგ, ტრენინგის ყველა მონაწილეს შესაბამისი სერტიფიკატი გადაეცა.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა კატასტროფების შედეგების მართვის საერთაშორისო საველე-საშტაბო სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა

20-25 სექტემბერს, ქ. ლვოვში (უკრაინა) ნატოს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრისა (EADRCC) და უკრაინის სახელმწიფო საგანგებო სიტუაციების სამსახურის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა კატასტროფების შედეგების მართვის საერთაშორისო საველე-საშტაბო სწავლება — „უკრაინა 2015“. ღონისძიებაში 22 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების 1100-ზე მეტმა წარმოდგენილმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ ვარჯიშში საქართველოს მხრიდან მონაწილეობდა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამაშველო დანაყოფის 15 წევრი. საქართველოს ჯგუფი შედგებოდა 2 ქვეჯუფისაგან: ქიმიურ, რადიოლოგიურ და ბირთვული კატასტროფების შედეგებზე რეაგირების დეკონტემინაციის ქვეჯგუფი და სიმაღლეზე სამაშველო ოპერაციების ქვეჯგუფი. მოწვეული საპატიო სტუმრისა და დამკვირვებლის სტატუსით, სწავლებაში მონაწილეობა მიიღო შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორმა, ზვიად ქანაშვილმა. სწავლების მიზანს წარმოადგენდა, ფარტომასშტაბიანი კატასტროფების დროს, ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შესაძლებლობების გამოვლენა და საერთაშორისო სამაშველო დანაყოფების მხრიდან კატასტროფების შედეგებზე კოორდინირებული რეაგირება. ასევე, INSARAG-ის (საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფი) ამოცანების შესრულება და ქვეყნებს შორის სამაშველო ოპერაციების გამოცდილების გაზიარება. ნატო-სა და უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელმა პირებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს სამაშველო ჯგუფის მიერ მაღალ დონეზე შესრულებული სამაშველო ოპერაციები და მადლობა გადაუხადეს სააგენტოს ხელმძღვანელობას ნაყოფიერი და წარმატებული თანამშრომლობისთვის.

„ვერსიანიუსი“

საჯარო სკოლებისთვის იურისტის მომსახურება უფასოა!

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

116-ე სკოლის პედაგოგი და ამავდროულად, საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი დავით ფერაძე, განათლების სამინისტროს მორიგ ბრალდებას უყენებს. სამინისტროს მუდმივი კრიტიკოსი აცხადებს, თითქოს, სკოლებს ადმინისტრაციული მომსახურების შესყიდვას აიძულებენ და მინიშნებას აკეთებს კორუფციულ გარიგებებზე. „დაინტერესებული პირებისთვის“ ბრალდება მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ ყველაზე უცნაური ისაა, რომ ფერაძის გარდა ამ თემაზე არავინ საუბრობს. არადა, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, ძალადობის არსებობის შემთხვევაში საქართველოში არსებული 2085 საჯარო სკოლიდან, რომელიმე დირექტორს ანონიმურად მაინც არ გაეპროტესტებინა.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საუბარია იურიდიულ მომსახურებაზე. საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ სამინისტრო სკოლებს ავალდებულებს, გარკვეულ საფასურად მის მიერ მითითებული იურიდიული მომსახურება იქირაოს. მართალია, ფერაძე არ ამბობს, რომ სამინისტრო ამ მომსახურების „წილშიც ზის“, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, საჯარო უწყებისთვის ბრალდება ძალიან სერიოზულია.

წინა კვირას, მას შემდეგ რაც აღნიშნული თემა გაჟღერდა, შევეცადეთ, ინფორმაცია სკოლებში გადაგვემოწმებინა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა — ფერაძის ბრალდება არავინ დაადასტურა! შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 60-ე, 122-ე, 128-ე, 123-ე, 64-ე, 151-ე, 47-ე, 50-ე, 62-ე სკოლების დირექტორებმა არათუ უარყვეს ძალადობა, მათთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა, რომ მათი სახელით კორუფციულ ბრალდებაზე საუბრობენ.

გამომდინარე იქიდან, რომ დავით ფერაძე 116-ე სკოლის მასწავლებელია, ვივარაუდეთ, რომ სამინისტროს მხრიდან იძულებას ადგილი მისი სკოლის დირექტორზე ჰქონდა, თუმცა, დირექტორმა **ნანა ღაჭავამ** მოკლედ გვიპასუხა: **„ხელშეკრულება არც არავისთან მაქვს გაფორმებული და არც არავის შემოუთავაზებია. თუ დამჭირდება მსგავსი მომსახურება, ამას აუცილებლად ჩემი სურვილით გადავწყვეტ. ამ ეტაპზე კი, საკმაოდ კარგად ვსარგებლობ რესურსცენტრის იურისტით, რომელიც რეკომენდაციებს მაძლევს ნებისმიერ საკითხზე“.** შესაბამისად, უპასუხოდ რჩება კითხვა — ვის უფლებებს იცავს დავით ფერაძე?

ახსნა-განმარტებებისთვის „ვერსია“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც საკითხში დეტალურად გაგვარკვიეს. როგორც ირკვევა, 2012 წლის დეკემბრამდე, სამინისტროს ერთ-ერთ სსიპ-ში, კერძოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური გაუქმდა. უფრო ზუსტად, 2011 წლის 20 აპრილის №06-21/5139 წერილის (ცენტრში რეგისტრაციის №03-2825) საფუძველზე სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 20 აპრილის №194 ბრძანებით დამტკიცებული ცენტრის 2011 წლის საშტატო განრიგით, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს დაემატა რეგიონული სამმართველო, რომელიც აერთიანებდა 3 საშტატო განრიგით გათვალისწინებულ და 61 შტატგარეშე თანამშრომელს.

ცენტრის დირექტორის 2013 წლის 1 თებერვლის №35 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგით აღარ არის განსაზღვრული რეგიონული სამმართველო და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: სამართალშემოქმედებისა და დავების სამმართველო. იურიდიული კონსულტაციის გაწევის ფუნქცია-მოვალეობები ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს გაუუქმდა და გადაეცა საგანმანათლებლო რესურსცენტრებს (იურისტებს).

როგორც სამინისტროში განმარტავენ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა აღნიშნული სამსახურის არაეფექტურობა და მისი ფუნქციონირებისთვის გაწეული დიდი ხარჯები. ორმაგი საბიუჯეტო ხარჯი, რაც გამოიხატება შემდეგში:

ყველა საჯარო სკოლა ვალდებული იყო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან დაედო ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ და გადაეხადა თვეში 100-200 ლარამდე, მიუხედავად იმისა, ესაჭიროებოდა და სარგებლობდა თუ არა სკოლა ცენტრის იურიდიული მომსახურებით. შესყიდვების ან სხვა სფეროში მომსახურებისთვის სკოლა იხდიდა დამატებით თანხას, რომელიც შეადგენდა 250 ლარს. სკოლების მიერ ცენტრისათვის, მხოლოდ იურიდიული მომსახურებისათვის, გადახდილი თანხა შეადგენდა თვეში 300 000 ლარს (წელიწადში 3,600 000 ლარს).

გარდა ამისა, რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები (3 საშტატო და 61 შტატგარეშე) ხელფასს იღებდნენ ცენტრიდან იგივე მომსახურებაში.

ზემოთ აღნიშნული მომსახურების ფარგლებში გადახდილი თანხების არაეფექტურობას და განხორციელებული რეფორმის ხარჯთსარგებლიანობას სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებისთვის ბიუჯეტიდან ხელფასის სახით გაცემული თანხებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლებისთვის (იურისტებისთვის) კონსულტაციის გაწევის მიზნით გადახდილი თანხების შედარება ადასტურებს. კერძოდ, თუ სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელთათვის გადახდილმა თანხამ, ერთი წლის განმავლობაში (2012 წელს), შეადგინა დაახლოებით 480 000 ლარი, საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლებისთვის (იურისტებისთვის) კონსულტაციის გაწევის მიზნით გადახდილმა ერთი წლის თანხამ (2014 წელი), შეადგინა 440 000 ლარი. ხელფასის გარდა, სკოლების მიერ ცენტრისათვის, მხოლოდ იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილი თანხა შეადგენდა თვეში 300 000 ლარს (წელიწადში 3,600 000 ლარს). რაც ნიშნავს, რომ ერთი და იგივე მომსახურებაში იხდიდა სკოლა და ცენტრიც. როგორც ჩანს ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას.

„ვერსიამ“ გაარკვია ისიც, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოში ანუ საგანმანათლებლო რესურსცენტრში, ერთი იურისტი მუშაობს. ამ ეტაპზე სულ 57 იურისტი ჰყავთ, ხოლო 5 რესურსცენტრში ვაკანსიაა გამოცხადებული. რაც შეეხება მათ აყვანას, რესურსცენტრებში, იურისტის სამსახურში აყვანა მხოლოდ კონკურსით ხდება, ხოლო მათი ხელფასი 740 ლარს შეადგენს.

ხაზგასასმელია, რომ სამართლებრივ დახმარებას საჯარო სკოლებს რესურსცენტრის იურისტი სრულიად უფასოდ უწევს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, განსაზღვრულია სსიპ-ის უფლებები, ამ კანონის მე-3 და მე-10 მუხლები ცალსახად ადგენს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი დამოუკიდებლად დებს გარიგებებს და სსიპ-ის ხელმძღვანელი ორგანიზაციის წესდების ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. სამინისტროს უფლებამოსილება შემოფარგლულია სახელმწიფო კონტროლით, რაც გულისხმობს სსიპ-ის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

ანალოგიურად არეგულირებს საჯარო სკოლის მართვის საკითხს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, კერძოდ ამ კანონის 43-ე მუხლით ასევე განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ფუნქციები, რომელიც დამოუკიდებლად მართავს სკოლას (სკოლის მმართველობის ორგანოებთან ერთად) რაშიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ ერევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სკოლის დირექტორის გადასაწყვეტია საკითხი თუ რა სახის მომსახურება სჭირდება სკოლას დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

თუ რატომ ისმის სამინისტროს მისამართით ბრალდება, რომ სკოლებს ადმინისტრაციულ მომსახურებას აიძულებენ, კითხვა მინისტრ **თამარ სანიკიძეს** დავუსვით: **„ინფორმაცია კატეგორიულად არ შეესაბამება სიმართლეს. ცალსახად მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ 2013 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად სკოლებს აქვთ არჩევანის თავისუფლება, კანონის ფარგლებში ნებისმიერი შესყიდვის თუ მომსახურების გასაწევად კომპანიის არჩევის გადაწყვეტილების მიღებაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დღეს სკოლებს იურიდიული მომსახურებისათვის კომპანიის დაქირავება არ სჭირდებათ. არის ერთეული შემთხვევები, როდესაც სკოლა საჭიროებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას და ქირაობს კომპანიას კომბინირებული მომსახურებისათვის, როგორიც არის შესყიდვები, მენეჯმენტი, აუდიტი და ა.შ.**

საბოლოოდ, მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ სკოლები სწორედ 2013 წლამდე არ იყვნენ არჩევანში დამოუკიდებლები, გადაწყვეტილებებში ყველა მათგანი შეზღუდული იყო, რადგან ერთადერთი ორგანიზაცია, ვისთანაც სავალდებულოდ უხდებოდათ ურთიერთობა, საჭიროების დასაბუთების მიუხედავად, ხარისხის ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური იყო“.

პატრიარქი 1 357 ბავშვს მონათლავს

პატრიარქის ნათლული კიდევ 1 357 ბავშვი გახდება. საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის „ძლევაის“ ინფორმაციით, ჩვილთა საყოველთაო მე-40 ნათლობა 28 სექტემბერს, წმინდა ასურელი მამის, იოსებ ალავერდელის ხსენების დღეს, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში გაიმართება. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნათლული კიდევ 1 357 ჩვილი გახდება. მონათლულებს საჩუქრად ნათლობის მონმობა და ჯვარი გადაეცემათ. ნათლობა სამების ტაძარში დღის მეორე ნახევარში დაიწყება.

ნათლობის დასრულების შემდეგ, დაახლოებით 20:00 საათისთვის, ტაძარში პატრიარქი მიბრძანდება და ნათლულებს დალოცავს.

დღეისთვის სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს 24 642 ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილი წყვილების ოჯახში მესამე და მომდევნო შვილები არიან.

წინა, 39-ე საყოველთაო ნათლობა 22 მაისს, წმინდა მღვდელმთავარ ნიკოლოზისა და წმინდა შიო მღვიმელის ხსენების დღეს გაიმართა. ჩვილთა პირველი საყოველთაო ნათლობა კი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს შედგა.

კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივის მიზანი, ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

„ინტერპრესნიუსი“

დევნილებს სამედიცინო-პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაუტარდათ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, დევნილებს სამედიცინო-პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაუტარდათ.

აფხაზეთის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოკვლევები „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში, თბილისის ზღვაზე არსებულ აფხაზეთიდან დევნილთა 3 კომპაქტურ ჩასახლებაში — „ტურბაზა“, „ოქროს საწმისი“ და „თბილისის ზღვა“ — მცხოვრებ დევნილებს ჩაუტარდა. აქციის ფარგლებში მათ პირველადი დახმარების მედიკამენტები უსასყიდლოდ გადაეცათ.

სამედიცინო აქციაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის წამყვანი კლინიკების მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა, აგრეთვე, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაწესებულებების წამყვანმა ექიმმა სპეციალისტებმა. სამედიცინო ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ოჯახის ექიმი, თერაპევტი, პედიატრი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, გინეკოლოგი, ქირურგი, ონკოლოგი, ენდოკრინოლოგი, უროლოგი, ოფთალმოლოგი, დერმატოლოგი, ულტრა-სონოგრაფიის აპარატურით აღჭურვილი სპეციალისტი და ექიმი-ლაბორანტი. ჩატარდა ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები.

სამედიცინო აქცია აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ქეთევან ბაკარაძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით განხორციელდა. ღონისძიებას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია დაესწრო.

„ინტერპრესნიუსი“



59 წლის მოდელი სტერეოტიპებს ანგრევს

59 ლის იასმინა როსი, ასაკის მიუხედავად, ყველაზე მოთხოვნადი მოდელია, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო ბრენდთან თანამშრომლობს. წარმოშობით ფრანგმა იასმინამ უჩვეულოდ დაიწყო კარიერა, იგი სამოდელო ბიზნესში 30 წლისა მოხვდა — იმ ასაკში, როცა მოდელების უმრავლესობა პროფესიულ საქმიანობას ასრულებს. ბევრს აინტერესებს მისი მარადიული ახალგაზრდობისა და სილამაზის საიდუმლო, მაგრამ ქალბატონი როსი აცხადებს, რომ ასეთი არ არსებობს. ყოველთვის ეკოლოგიურად სუფთა, ორგანული პროდუქტით ვიკვებებოდი, დიდ დროს ვუთმობ ფიზიკურ დატვირთვასაც, — ამბობს იასმინა. მოდელი ფოტოებზე არც მალავს აქა-იქ გაჩენილ ნაოჭებს და ეს წარმოუდგენელიც კია მოდის სამყაროში, მაგრამ ორი შვილიშვილის ბებია-მოდელი აცხადებს, რომ ახლა უფრო ბედნიერად გამოიყურება, ვიდრე 20-30 წლის წინ.

ლამაზიც და ჭკვიანიც

ლონდონის ეკონომიკის სკოლის მკვლევარებმა, გავრცელებული სტერეოტიპის საწინააღმდეგოდ, მოულოდნელი დასკვნა გააკეთეს: ლამაზ ადამიანებს ინტელექტუალური განვითარების უფრო მაღალი კოეფიციენტი ჰქონიათ, ვიდრე ნაკლებად სიმპათიურ ქალებსა და მამაკაცებს. სწავლულების აზრით, მომხიბვლელი ადამიანები, როგორც წესი, უკეთ სწავლობენ და ავლენენ კიდეც თავს პროფესიულ საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, უფრო მეტსაც აღწევენ ცხოვრებაში. კვლევების ავტორთა თქმით, მიმზიდველი ბრიტანელი მამაკაცის ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტი 13,6%-ით აღემატება ამ მაჩვენებელს მთელ ქვეყანაში, ხოლო სიმპათიური ბრიტანელი ქალის მაჩვენებელი 11,4%-ით მაღალია, ვიდრე მისი თანამემამულეების უმრავლესობისა. ინგლისელი სწავლულების დასკვნები 17419 ადამიანზე ჩატარებულ კვლევებს ეყრდნობა, რომლებიც ნისლიან ალბიონზე 1958 წლის მარტში დაიბადნენ და ასევე, 35 ათას ამერიკელზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. ზოგიერთი სწავლული იმასაც ამბობს, რომ ჭკვიანი და ლამაზი ადამიანები ერთმანეთს იზიდავენ. შესაბამისად, მათი შვილები მემკვიდრეობით იღებენ არა მხოლოდ ფიზიკურ სილამაზეს, არამედ ინტელექტსაც.

გაჯეტზე ალერგიის გამო ინვალიდად აღიარეს

საფრანგეთში, ქალაქ ტულუზის 39 წლის მკვიდრი, მარინ რიჩარდი ინვალიდად აღიარეს იმის გამო, რომ ძლიერი ალერგია აქვს ტელეფონების, პლანშეტებისა და ნოუთბუქების ელექტრომაგნიტურ გამოსხივებაზე. რიჩარდის თქმით, ის ფაქტი, რომ ინვალიდობის პენსიას გადაუხდიან, წარმოუდგენელი პრეცედენტია. მომატებული ელექტრომაგნიტური მგრძნობელობა ოფიციალურად არ არის აღიარებული დაავადებად მოფლიოს ქვყნების უმრავლესობაში, მათ შორის, არც საფრანგეთში. ახლა ტულუზის ხელისუფლება მარინს თვეში 920 დოლარს გადაუხდის შემწეობის სახით. ადამიანები, ვისაც მსგავსი დაავადება აწუხებს, ამბობენ, რომ თანამედროვე გაჯეტების სიახლოვე სერიოზულ დისკომფორტს უქმნის.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2				9				5
	7		5					
	5	4	6	2	7		1	
7	4					9	8	
	9	8					7	3
	3		9	7	6	8	5	
					1		3	
4				3				9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4					1			8
			3	5		4	6	
		5	9		4			7
			8				2	3
5	1				2			
1			5		9	3		
	9	2		1	3			
7			4					1

ᲠᲗᲣᲚᲘ

		5	3					
	9			2			4	
	4		9	6	7			1
		9						6
	8	7				3	1	
1						4		
3			2	8	4		9	
	5			3			8	
					6	2		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4			8			6	3	
3				7				
		6			3	5		
			2	6			5	
8		3				2		1
	2			1	9			
		2	7			3		
				5				2
	1	7			2			8

ᲠᲝᲚᲓᲘᲡ ᲐᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ

ბედნიერება მართლაც არის ფულში, მაგრამ მაშინ, თუკი ის თქვენ მეზობელზე მეტი გაქვთ, — ასეთ დასკვნას აკეთებენ სწავლულები ნისლიანი ალბიონიდან. მათი განცხადებით, ბოლო 40 წლის განმავლობაში, მიუხედავად ცხოვრების დონის მატებისა, მეზობლებსა და მეგობრებზე მატერიალური უპირატესობა დიდ ბრიტანეთში მაინც რჩება ფულის შოვნის მთავარ მოტივად. აქაურები სულ უფრო მეტს შრომობენ, მაგრამ დიდი სახლი და წარმატებული კარიერა მხოლოდ მაშინ ხდის ადამიანს ბედნიერს, თუკი გარშემომყოფები ნაკლებად მდიდრები არიან. მკვლევარები დარვინის უნივერსიტეტიდან ამბობენ, რომ ადამიანებს, რომლებიც სოციალურ კიბეზე მაღლა და მაღლა ადიან, ამოძრავებთ სურვილი, სხვებს არ ჩამორჩნენ. სიმდიდრისკენ ლტოლვა საზოგადოების გამდიდრებას იწვევს, თუმცა ამით ინდივიდი ბედნიერი არ ხდება. ასე რომ, სწავლულთა დასკვნით, ბედნიერება ბევრ ფულში კი არა, სხვა ადამიანებზე უპირატესობაში ყოფილა.

ᲞᲘᲙᲐ ᲙᲐᲚᲤᲔᲑᲡ ᲙᲘᲑᲝᲡᲒᲐᲜ ᲘᲮᲡᲜᲘᲡ

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სწავლულებმა გაარკვიეს, რომ პიცა, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის. თუმცა, ის უნდა შეიცავდეს სანელებელ ორეგანოს. აქამდე ეს გემრიელი კერძი არავის მიუჩნევია ჯანრთელობისთვის სასარგებლოდ, მაგრამ გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ორეგანო შეიძლება ძლიერი იარაღი აღმოჩნდეს წინამდებარე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ სანელებლის საფუძველზე დამზადებულ პრეპარატებს კი, ალბათ, გაცილებით ნაკლები გვერდითი მოვლენები ექნება, ვიდრე ყველა არსებულ მეთოდს სიმსივნის მკურნალობაში. ამერიკელმა მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ორგანულ ნაერთს, სახელწოდებით კარვაკოლი, რომელსაც პიცის სანელებელი შეიცავს. როგორც კი ეს ნივთიერება სინჯარაში მოთავსებულ პროსტატის სიმსივნის უჯრედებს დაუმატეს, სწრაფად გაანადგურა კიბოს უჯრედები. ანალიზებმა აჩვენა, რომ ორეგანოს ერთ-ერთი ინგრედიენტი უბრალოდ აიძულებს სიმსივნეს, თავი გაინადგუროს. თუმცა, ამ დაავადების მქონე პაციენტებს არ ვურჩევთ პიცაზე „შეჯდომას“. საქმე ის არის, რომ ორეგანო კარვაკოლთან ერთად, ჩვენი ორგანიზმის მიერ უფრო სწრაფად გადამუშავდება, ვიდრე ის ანტისიმსივნურ ზემოქმედებას დაიწყებს, — აცხადებენ მეცნიერები. ასე რომ, კიბოსთან საბრძოლველად, კარვაკოლოს საფუძველზე, სრულფასოვანი პრეპარატის შექმნაა საჭირო.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	3	4	2	1	5	8	7	6
2	5	8	9	6	7	4	1	3
1	7	6	8	4	3	2	5	9
8	9	5	1	3	2	7	6	4
4	6	3	7	9	8	1	2	5
7	2	1	6	5	4	3	9	8
6	4	2	5	8	1	9	3	7
3	1	9	4	7	6	5	8	2
5	8	7	3	2	9	6	4	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	9	1	3	4	8	6	7	5
8	7	6	9	5	2	4	3	1
5	4	3	7	6	1	2	9	8
3	2	9	6	1	4	5	8	7
4	5	8	2	3	7	1	6	9
1	6	7	8	9	5	3	4	2
9	8	4	1	2	3	7	5	6
7	1	5	4	8	6	9	2	3
6	3	2	5	7	9	8	1	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	3	7	1	4	2	6	9	5
1	5	6	3	9	8	7	4	2
4	9	2	5	7	6	3	1	8
3	6	5	9	2	4	1	8	7
2	1	8	7	6	5	9	3	4
9	7	4	8	1	3	5	2	6
7	4	3	6	8	1	2	5	9
6	2	1	4	5	9	8	7	3
5	8	9	2	3	7	4	6	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	9	4	8	5	6	3	2	1
5	3	2	4	1	9	8	6	7
8	1	6	7	3	2	5	9	4
2	6	9	1	4	8	7	5	3
1	8	3	5	9	7	6	4	2
4	7	5	6	2	3	1	8	9
9	5	1	3	8	4	2	7	6
6	2	8	9	7	1	4	3	5
3	4	7	2	6	5	9	1	8

მე-10 გვერდი: 1. საბურთალი; 2. ფრჩხილი; 3. სეტი; 4. ბლეიზერი; 5. რებუსი; 6. რაკეტა; 7. ხახული; 8. ლეთე; 9. სკუნსი; 10. იფიკლე; 11. ბრეხტი; 12. კახეთი; 13. ინვარი; 14. მტლე; 15. კაფე; 16. ტინი; 17. საზი; 18. ტილი; 19. ნოკია; 20. ერი; 21. საინი; 22. რაკია; 23. ტიარა; 24. შნიცელი; 25. ჰეროსტრატე; 26. ტევიე; 27. ნინია; 28. ჰამაკი; 29. რეპროდუქცია; 30. აშარი; 31. მაიკ; 32. აიეტი; 33. მოპსი; 34. შტო; 35. ხვალ; 36. ედიცია; 37. როსტოვი; 38. ლიბანი; 39. რეიკიავიკი; 40. ფრაკი; 41. დანაე; 42. მავზოლეუმი; 43. კროლი; 44. ნაი; 45. გაზონი; 46. როდიონოვი; 47. ლამა; 48. იოდი; 49. ბაიტი; 50. რა; 51. ფარა; 52. სუბმარინა; 53. გერმანია; 54. ევრო; 55. იალაღი; 56. აქტი; 57. კაი; 58. „ვიი“; 59. კიტონი; 60. ჰარარე; 61. ზედაზენი; 62. გობი; 63. ტენცო; 64. ჰაკი; 65. შავი; 66. ბარმალეი; 67. გეენა; 68. აიალა; 69. ოფი; 70. ნეო; 71. ფა; 72. დანტე; 73. მოა; 74. რიტონი; 75. ტოფუ; 76. მავრი; 77. მზაღო; 78. აკოფი; 79. კრონა; 80. სირ; 81. ფაინა; 82. იფი; 83. კიი; 84. სადა; 85. ფხა; 86. ინია; 87. ერინია.

ᲙᲐᲠᲘ ᲔᲡᲙᲠᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

რაღაც ახლისა და უნიკალურის შექმნის ძიებაში იაპონელმა შეფ-მზარეულმა საკუთარ რესტორანში ახალი კერძი წარმოადგინა — კარი ესკრემენტების გემოთი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი საჭმელი ისევე გამოიყურება, როგორც ნამდვილი ესკრემენტები, კერძის ავტორის მტკიცებით, მასში საეჭვო ინგრედიენტები არ არის. მისი კარი მზადდება ჩაის ფოთლების, მწარე გოგრისა და კაკაოსგან. შედეგად მიიღება მასა, რომელიც ადამიანის ესკრემენტს ჰგავს გარეგნულადაც და გემოთიც. უფრო მეტიც, ეს უცნაური კერძი კლიენტთან მიაქვთ ჭურჭლით, როლმელიც უნიტაზს ჰგავს. შეფ-მზარეული ამბობს, რომ ახალი კერძის რეცეპტზე სამი წელიწადი მუშაობდა. ადგილობრივების გამოკითხვის მიხედვით, უჩვეულო კარის დაგემოვნების სურვილი მხოლოდ 6%-ს აღმოაჩნდა. 10%-მა აღნიშნა, რომ ეს „იდეა არ ჯდება მათ გემოვნებაში“, დანარჩენებმა კი კატეგორიულად განაცხადეს, რომ ფეხსაც არ შედგამენ ამ რესტორანში.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 322942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

„პატარა მონე“ ინგლისიდან

11 წლის იმპრესიონისტი კირონ უილიამსონი თავისი ნახატების წყალობით უკვე მილიონერია

კირონ უილიამსონი ბრიტანეთის ქალაქ ნორფოლკში დაიბადა. დასა და მშობლებთან ერთად ცხოვრობდა ისეთი ცხოვრებით, როგორც ყველა ჩვეულებრივი ბავშვი. 2008 წელს კი, კორნვილში არდადეგებზე ყოფნისას, ნავებისა და ულამაზესი გარემოს დანახვის შემდეგ, მშობლებს სთხოვა, სახატავი ალბომი ეყიდათ. მეორე დღეს, უკვე სანაპიროზე იჯდა და ნავებს ხატავდა. არდადეგების პერიოდშივე ისწავლა პეიზაჟის, სახლების, ხეების, სხვადასხვა საგნის დახატვა და მისი ნახატებიც უფრო და უფრო დაიხვეწა. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ აქამდე მას ასეთი ინტერესი არასდროს ჰქონია.

რაც დრო გადიოდა, მისი ინტერესი ხატვის მიმართ უფრო გაიზარდა. ის უკვე მშობლებს ეკითხებოდა, როგორ მიელო მისთვის სასურველი ფერები, რომელი საღებავი უნდა გამოეყენებინა... კირონის მშობლები მიხვდნენ, რომ ასეთ კითხვებზე პასუხი არ ჰქონდათ, ამიტომ იგი პროფესიონალ მხატვარს მიაბარეს, რომელიც ყველაფერს აუხსნიდა. ეს გამოცდილება ძალიან დაეხმარა, თუმცა კირონის დედა მიიჩნევს, რომ ის პროფესიონალის გარეშეც შეძლებდა განვითარებას, რადგან პირველივე დღიდან ფერების ერთმანეთთან შეხამების გასაოცარი ნიჭი გამოავლინა. ამის

შემდეგ ახალბედა მხატვარმა დაიწყო სხვადასხვა ექსპერიმენტის ჩატარება — ხატვა აკვარელით, აკრილით, ზეთის საღებავებითა და პასტელით.

კორვილში არდადეგების შემდეგ, მთელი ზაფხული ერთ-ერთ ნახატზე მუშაობაში გაატარა მხატვარ კაროლ პენინგტონთან ერთად. **„კაროლს ძალიან თანამედროვე სტილი ჰქონდა, რომელსაც შეიძლებოდა ჩემი სტილი დამსგავსებოდა, თუმცა საბედნიეროდ ჯიუტად ჩემ სტილს მივდევდი“,** — იხსენებს კირონი. **„ვერაფრის გაკეთებას დააძალებ, თუ თვითონ არ უნდა“,** — ეს კი კირონის დედის შეფასებაა. ახალგაზრდა მხატვრის მშობლები პერიოდულად დადიოდნენ გალერიის მენეჯერთან და კირონის ნახატებს აჩვენებდნენ. მათ დიდი იმედი ჰქონ-



დათ, რომ ერთ დღეს მათი შვილის ნახატები საქვეყნოდ ცნობილი გახდებოდა, თუმცა ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ეს ყველაფერი ასე მალე მოხდებოდა.

2009 წლის ივლისიდან, ახალბედა მხატვარს, აკვარელში ხატვის კურსებს მხატვარი ტონი გარდნერი უტარებდა. ის ერთადერთი ბავშვი იყო კლასში, ამიტომ მასწავლებელი და უფროსკლასელები, დიდი სიყვარულით ეპყრობოდნენ.

2009 წლის აგვისტოში, ექვსი წლის კირონის ნახატები ხალხმა პირველად ნახა გალერეაში. ის ღამე საკმარისი აღმოჩნდა, რომ კირონი მსოფლიოში პოპულარული გამხდარიყო. გალერეაში მისი ყველა ნახატი თხუთმეტ წუთში გაიყიდა. მის ვებგვერდს კი 1 800 მიმდევარი გაუჩნდა და მათი რიცხვი, დღემდე იზრდება.

მას ჟურნალისტებმა „პატარა მონეც“ კი დაარქვეს, მონეს ნახატებთან მსგავსების გამო. **„ძალიან არ მოგვწონს ეს შედარება, რომელიც მედიაში გაჩნდა, რადგან ეს კირონზე დიდ ზეწოლას ახდენს. რა თქმა უნდა, გვიხარია, რომ მას ასეთ გამოჩენილ და ცნობილ მხატვარს ადარებენ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ კირონი ჯერ მხოლოდ თერთმეტი წლისაა, მონე კი ზრდასრული ადამიანი იყო. ასე რომ, ეს შედარება ჩემთვის უადგილოა“,** — აცხადებს კირონის დედა და იმასაც დასძენს, რომ კირონი, ყველაზე ბედნიერი მაშინაა, როცა ხატავს: **„ის ჯერ ბავშვია, ამიტომ მისთვის სკოლა და სწავლა პირველ ადგილზეა. ჩვენ ვახერხებთ, შევინარჩუნოთ ბალანსი — ყველაფერი მოასწროს და თან, იცხოვროს ისე, როგორც ჩვეულებრივმა ბავშვმა. აქედან გამომდინარე, არის ხოლმე დღეები ან თვეები, როდესაც ის უბრალოდ ვერ ახერხებს ხატვას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრად ბედნიერია, როდესაც ხატავს. კირონს დაც ჰყავს და ყოველთვის ვცდილობ, მათ თანაბარი ყურადღება მივაქციო. ეს ძალიან რთულია, რადგან განსხვავებული ინტერესები აქვთ. თანაც, ჩვენ ოჯახში, ყველა წევრი, თავისებური, რთული პიროვნებაა. ვცდილობთ, საერთო ენა გამოვნახოთ. პირველ რიგში, მეგობრები ვართ, ერთმანეთს ყოველთვის გვერდში ვუდგავართ და ვეხმარებით. ასე იყო კირონის შემთხვევაშიც და ვფიქრობ, განვითარებაში ეს ძალიან დაეხმარა. მთავარია, მოვუსმინოთ ბავშვებს და გავიგოთ, რისი კეთება უყვართ და რა უნდათ, შემდეგ კი დავეხმაროთ, როგორც შევძლებთ“.**